წლიური ანგარიში

2018

ევროპის უნივერსიტეტი

eu.edu.ge

+995 322000171

@europeanuniversity.eu

03 უნივერსიტეტის ისტორია

04 უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებები

06 უნივერსიტეტის შესახებ ზოგადი ინფორმაცია

09 ორგანიზაციული სტრუქტურა

15 ინსტიტუციური განვითარება

13 უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმართულებები
17 შენობა - ნაგებობები
18 აკრედიტებული პროგრამები 2013 - 2017
19 სტუდენტების და პერსონალის რაოდენობა
20 ფინანსური გეგმა
24 ევროპის უნვერსიტეტის სამომავლო გეგმები

25 ფაკულტეტები

26 ბიზნესისი და ტექნოლოგიები
30 სამართალი, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერება
35 მედიცინა

44 კვლევა

45 კვლევითი ინსტიტუტი
50 განხორციელებული პროექტები
55 ჟურნალები

59 ინტერნაციონალიზაცია

60 ევროპის უნივერსიტეტის პარტნიორები
61 თანამშრომლობის გაღრმავება
62 გაცვლითი პროგრამები
67 მოწვეული სტუმრები

73 სტუდენტური ცხოვრება ევროპის უნივერსიტეტში

82 სპორტული და კულტურული ცხოვრება ევროპის უნივერსიტეტში

03

უნივერსიტეტის ისტორია

ევროპის უნივერსიტეტის ისტორია 2012 წლის 31 დეკემბრიდან იღებს სათავეს. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 იანვრის №1 გადაწყვეტილებით ევროპის უნივერსიტეტმა 5 წლის ვადით მოიპოვა სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი.

2012 წლისათვის უნივერსიტეტი ახორციელებდა 3 საგანმანათლებლო პროგრამას:
საექთნო საქმის საბაკალავრო, ფარმაციის საბაკალავრო და ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას. დაწესებულება ფუნქციონირებდა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ერთ სასწავლო კორპუსში, ხოლო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 246 სტუდენტს.

2013 წლის ბოლოს უნივერსიტეტმა მოიპოვა აკრედიტაცია ფინანსების და საბანკო საქმის საბაკალავრო პროგრამაზე, ხოლო 2014-15 წლებში, უნივერსიტეტმა მოიპოვა აკრედიტაცია იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელსაც ამჟამად ახორციელებს, მათ შორის, დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც უცხოელი სტუდენტების ყველაზე დიდი წილი მოდის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის №5 გადაწყვეტილებით ევროპის უნივერსიტეტმა 5 წლის ვადით 2021 წლამდე, ხელახლა მოიპოვა სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 13 დეკემბრის №30 გადაწყვეტილებით უნივერსიტეტს სტუდენტთა ზღვრული ადგილების რაოდენობა შეადგენდა 1500 სტუდენტს.

2018 წლის ბოლოსთვის საგანამანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობს ევროპის უნივერსიტეტის ორ სასწავლო კორპუსში.

ევროპის უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებები

ევროპის უნივერსიტეტი არის ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა:

- სტუდენტზე ორიენტირებული, ხარისხიანი უმაღლესი განათლების შეთავაზება; ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;
- სამეცნიერო/კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა;
- საქართველოში ცოდნის საზოგადოებასა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირებაში აქტიური მონაწილეობა და საკუთარი წვლილის შეტანა;
- კრიტიკული აზროვნების, ინოვაციური და აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარებით, ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თვითრეალიზებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა;
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა;
- სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების უზრუნველყოფა, ტოლერანტობის, ურთიერთპატივისცემისა და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა.

უნივერსიტეტის ღირებულებები

- ხარისხზე ორიენტირება
- მიზანსწრაფვა
- ორიენტაცია მუდმივ განვითარებაზე
- გუნდურობა
- გამჭვირვალობა
- სამართლიანობა
- თანასწორობა და თანაბარი შესაძლებლობები
- მაღალი აკადემიური კულტურა
- აკადემიური თავისუფლება
- სოციალური პასუხიმგებლობა
- თანამშრომლობა გარე ფაქტორებთან

ხედვა

2025 წლისათვის ევროპის უნივერსიტეტი არის ღია აკადემიური სივრცე, რომელიც ავითარებს თანამედროვე, კარგად აღჭურვილ, კომფორტულ და ადაპტირებულ სასწავლო, სამეცნიერო და სამუშაო ინფრასტრუქტურას, ინარჩუნებს ფინანსურ მდგრადობას, იზიდავს და ეფექტიანად ინარჩუნებს მაღალკვალიფიციურ ადამიანურ რესურსებს, ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და თვითრეალიზებას, აგრეთვე ინტერნაციონალიზაციის პროცესში აქტიური ჩართულობით ახალისებს აკადემიურ და სტუდენტურ მობილობას. რისთვისაც:

სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტი ხელს უწყობს დაინტერესებულ პირთა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლებას, ჩართულია გარემოს დაცვით და საზოგადოების განვითარებაზე მიმართულ საქმიანობებში, მუდმივად ზრუნავს საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტსგარეთა საზოგადოების კეთილდღეობაზე;
უნივერსიტეტს გააჩნია ფართო სპექტრის ადგილობრივი და საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო პროგრამები და უწყვეტად ავითარებს მათ;

უნივერსიტეტში სწავლობენ როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ ხარისხიანი განათლების მისაღებად საჭირო უნარები და საკმარისი მოტივაცია;

უნივერსიტეტს აქვს და წარმატებით ახორციელებს სტუდენტთა კონტინგენტის ეფექტურ სელექციას: სტუდენტების მოზიდვა ძირითადად ხორციელდება მიზანმიმართული პროექტებითა და პირდაპირი კომუნიკაციით, უნივერსიტეტის ბრენდის განვითარებასა და რეპუტაციის ამაღლებაზე უწყვეტი მუშაობითა და საიმედო პარტნიორებთან გრძელვადიანი თანამშრომლობით, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე;

უნივერსიტეტი გამოირჩევა ინოვაციური/თანამედროვე ცოდნისა და სწავლების მეთოდებით და გამართული ხარისხის კონტროლის სისტემით;

ხელს უწყობს კვლევით-სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებას, მასში ახალგაზრდა მკვლევარების ჩართვას და ინტერნაციონალიზაციას;
სარგებლობს კარგი რეპუტაციითა და სანდო ბრენდით.

ევროპის უნივერსიტეტის შესახებ ზოგადი ინფორმაცია

ევროპის უნივერსიტეტი ავტორიზებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2011 წლიდან.

ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი აღიარებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) და საერთაშორისო სამედიცინო განათლებისა და კვლევის განვითარების ფონდის (FAIMER) მიერ და შედის მსოფლიო სამედიცინო სასწავლებლების კატალოგში.
მსოფლიო სამედიცინო სასწავლებლების კატალოგი წარმოადგენს მსოფლიოში არსებული, ყველა სამედიცინო სასწავლებლის შესახებ ზუსტი, უახლესი და ყოვლისმომცველი ინფორმაციის მქონე ჩამონათვალს. სამედიცინო სასწავლებლების მსოფლიო კატალოგი შემუშავებულია სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) და საერთაშორისო სამედიცინო განათლებისა და კვლევის განვითარების ფონდის (FAIMER) პარტნიორობით.

საერთაშორისო სამედიცინო
განათლებისა და კვლევის
განვითარების ფონდი (FAIMER)

ინდოეთის სამედიცინო საბჭო

ინდოეთის სამედიცინო საბჭო უმაღლესი იურიდიული ორგანოა, რომელიც არეგულირებს სამედიცინო კოლეჯების, ასოციაციების, ახალი კოლეჯებისა და ექიმების რეგისტრაციის საკითხებს ინდოეთში. იგი, აგრეთვე, წარმოადგენს ქვეყნის უმაღლეს სახელისუფლებო ორგანოს, რომელიც აღიარებს ინდოეთის მოქალაქეების მიერ სხვა ქვეყანაში მოპოვებულ დიპლომებს.
ევროპის უნივერსიტეტი აღიარებულია ინდოეთის სამედიცინო საბჭოს მიერ 2016 წლიდან.

YÜKSEKÖĞRETİM KURULU

უმაღლესი განათლების სისტემას თურქეთში ზედამხედველობას უწევს უმაღლესი განათლების საბჭო (CoHE). უმაღლესი განათლების საბჭო (CoHE) არის ავტონომიური ინსტიტუტი, რომელიც თურქეთის კონსტიტუციისა და უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, პასუხისმგებელია თურქეთში, უმაღლესი განათლების სისტემის დაგეგმვასთან, კოორდინაციასა და მმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი აღიარებულია თურქეთის უმაღლესი განათლების საბჭოს მიერ. აღიარება არის უცხოური განათლების კვალიფიკაციის ღირებულებების მატარებელი, კომპეტენტური უწყების ოფიციალური ცნობა დასაქმებისა და/ან საგანმანათლებლო საქმიანობის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

---

amee
AN INTERNATIONAL ASSOCIATION FOR MEDICAL EDUCATION

სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაცია (AMEE)

ევროპის უნივერსიტეტი არის ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის წევრი. აღნიშნული ასოციაცია გახლავთ მსოფლიო ორგანიზაცია, რომელიც მოიცავს 90 წევრ ქვეყანას ხუთი კონტინენტიდან.
AMEE ხელს უწყობს ჯანდაცვის სფეროში მიღებული ბაკალავრიატის, სამაგისტრო და შემდგომი განათლების საერთაშორისო დონის შენარჩუნებას. მედიცინის მიღწევების, სამედიცინო მომსახურების მიწოდებაში განხორციელებული ცვლილებებისა და პაციენტთა მოთხოვნების, ისევე როგორც განათლების სფეროში არსებული ახლებური ხედვებისა და მეთოდების გათვალისწინებით, AMEE, სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მხარს უჭერს პედაგოგებსა და ინსტიტუტებს მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაში , აგრეთვე მათ მიერ ახალი მიდგომების შემუშავებას სასწავლო პროგრამების დაგეგმვაში, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდებში, აგრეთვე საგანმანათლებლო მენეჯმენტში.

ევროპის უნივერსიტეტის წარმატებები

2018
ფინალისტი

თიბისი ბიზნესისთვის

ბიზნეს დაჯილდოება 2018

ბიზნეს დაჯილდოება 2018

ევროპის უნივერსიტეტი თიბისი ბანკის მიერ ორგანიზებულ ბიზნეს დაჯილდოების პროექტში საუკეთესო ფინალისტებს შორის მოხვდა, ნომინაციაში „წლის ბიზნესი“. თიბისის ბიზნეს დაჯილდოება საქართველოში ბიზნესსოციუმის განვითარებას და ბიზნესის მხარდაჭრას ემსახურება. ყველაზე მასშტაბური დაჯილდოება უკვე მესამე წელია ტარდება და საზოგადოებას სხვადასხვა კომპანიების წარმატების ისტორიებს აცნობს.

tbcbusiness.ge

IEFG
INTERNATIONAL EDUCATION FAIR GEORGIA

Expo Georgia SINCE 1958
International Exhibitions & Events
Exhibition Calendar

ANEU
ALLIANCE OF NEW EUROPE UNIVERSITIES

2018 წლის 23-24 თებერვალს, უნივერსიტეტი მონაწილეობდა განათლების საერთაშორისო გამოფენაში, რომელიც გამოფენების ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ გაიმართა. უნივერსიტეტმა გაიმარჯვა ნომინაციაში “ყველაზე ინტერაქციული სტენდი”.
educationfair.ge

2018 წელს ევროპის უნივერსიტეტი ჰარვარდის ბიზნესის სკოლის კონკურენციისა და სტრატეგიის ინსტიტუტის (MOC) აფილირებული წევრი გახდა, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს ჰარვარდის სასწავლო მასალები და მეთოდოლოგია გამოიყენოს.

MOC აფილირებული ქსელი შეიქმნა 2002 წელს ორ აფილირებულ ინსტიტუტთან ერთად INCAE ნიკარაგუაში და სტოქჰოლმის ეკონომიკის სკოლა, ლატვიაში. ამ ეტაპზე ქსელი მოიცავს 67 ქვეყნიდან ასზე მეტ უნივერსიტეტს. ბოლო ათწლეულის მანძილზე MOC-ის აფილირებულმა უნივერსიტეტებმა 64 000 სტუდენტს 1838 კურსი შესთავაზეს.
isc.hbs.edu

ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის (AMSE) წევრი გახდა. აღნიშნული ორგანიზაცია წარმოადგენს ევროპის სამედიცინო სკოლების ერთ-ერთ ძირითად ფორუმს ინსტიტუციური გამოცდილების გაზიარების კუთხით.

ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სამედიცინო სკოლის მართვის საკითხები. ამ კუთხით, ხშირად ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა სკოლის დეკანებს შორის საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით.

Harvard University

AMSE

amse-med.eu

ორგანიზაციული სტრუქტურა



ევროპის
უნივერსიტეტი

გუნდი

ლაშა კანდელაკიშვილი

რექტორი

ლაშა კანდელაკიშვილმა 2007 წელს წარმატებით დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, 2017 წელს, კი, პოლონეთის ლეგნიცის უმაღლესი მენეჯმენტის სკოლაში მაგისტრის ხარისხი მოიპოვა.

2007 წლიდან თბილისის საერო უნივერსიტეტის გენერალური დირექტორის თანამდებობას იკავებდა, 2008 წლიდან თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის დირექტორი იყო. 2009 წელს ევრაზიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე მუშაობდა, 2012 წლის 31 დეკემბრიდან დღემდე, კი, ევროპის უნივერსიტეტის რექტორია.

ლაშა კანდელაკიშვილი პედაგოგიურ საქმიანობას წლების განმავლობაში ეწეოდა, ამასთან, მუშაობდა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში. არის 5 სახელმძღვანელოს, სამეცნიერო ნაშრომებისა და პუბლიკაციების ავტორი.

კონტაქტი: rector@eu.edu.ge

გოჩა თუთბერიძე

ვიცე-რექტორი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით

გოჩა თუთბერიძემ 1985 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, 1988 წელს კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი (ასპირანტურა). 1991 წელს დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი (გერმანული ენა და ლიტერატურა), 1992 წელს - გუტენბერგის სახელობის მაინცის უნივერსიტეტი (გერმანია). არის ეკონომიკის დოქტორი.

გოჩა თუთბერიძის სამუშაო გამოცდილება მრავალფეროვანია, ის იყო საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო რეგულირების, დოკუმენტური ზედამხედველობის განყოფილებების უფროსი, საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს უფროსის მოადგილე, კომერციული ბანკების ფინანსური და აღმასრულებელი დირექტორი, აუდიტორული და კონსალტინგური კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი. გერმანული აკადემიური გაცვლის პროგრამის (DAAD) და კარლ დუისბერგის (CDG) სტიპენდიანტი.

2016-2018 წლებში ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანისა და ამავე უნივერსიტეტის პროორექტორის თანამდებობებს იკავებდა.

კონტაქტი: gtutberidze@eu.edu.ge

თამარ კერძაია

ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით

თამარ კერძაიამ 2006 წელს წარმატებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და აქვე მოიპოვა მაგისტრის ხარისხი სამოქალაქო სამართლის მიმართულებით.

მოგვიანებით, დოქტორანტურა New Vision უნივერსიტეტში გააგრძელა. შემდგომში, კვლევით საქმიანობას ეწეოდა გერმანიაში, მიუნსტერის სახელმწიფო უნივერსიტეტში (University of Münster). თამარს ჩაბარებული აქვს ადვოკატისა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები.

თამარი ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობას იკავებს. პარალელურად, იგი ტრენერია სხვადასხვა ორგანიზაციაში, მათ შორის, ტრენინგებს ატარებს ადვოკატებისათვის „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“ (Georgian Lawyers Association). არის ბიზნესლიდერთა ფედერაციის ,ქალები მომავლისთვის, წევრი.

თამარს აქვს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პროფესიული გამოცდილება. იგი წარსულში წარმატებით უძღვებოდა იურიდიულ კომპანიას, იყო არბიტრაჟის თავჯდომარე, რამდენიმე კომპანიის იურიდიული სამსახურის უფროსი და უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი. ჯამში, მას ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის შვიდ წლიანი, ხოლო პროფესიული საქმიანობის თოთხმეტ წლიანი გამოცდილება აქვს.

თამარს მოპოვებული აქვს DAAD-ის (გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური) სტიპენდია კვლევითი საქმიანობისათვის.

კონტაქტი: tamar.kerdzaia@eu.edu.ge

თამარ ზარგინავა

ვიცე-რექტორი საგარეო ურთიერთობების მიმართულებით

თამარ ზარგინავამ 2013 წელს წარმატებით დაამთავრა ეკონომიკისა და მენეჯმენტის აღმოსავლეთ ევროპული უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა, 2015 წელს, კი, ამავე უნივერსიტეტში სამართლის მაგისტრის ხარისხი მიენიჭა.

2007-2011 წლებში საერო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობას იკავებდა, 2011-2012 წლებში თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი იყო, 2012-2014 წლებში კი - ამავე უნივერსიტეტის რექტორის აპარატის ხელმძღვანელი. 2015-2017 წლებში ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსის პოზიციაზე მუშაობდა, 2017 წლიდან დღემდე არის ვიცე-რექტორი საგარეო ურთიერთობების მიმართულებით.

კონტაქტი: tamar.zarginava@eu.edu.ge

ევროპის უნივერსიტეტი

ინსტიტუციური განვითარება

უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმართულებები

- ადგილობრივ/საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლება/შეფასების მეთოდებისა და სწავლების ხარისხის მდგრადი განვითარება და ინტერნაციონალიზაცია;
- უნივერსიტეტის რესურსების მართვის ეფექტიანი სისტემების განვითარება;
- ინოვაციური კვლევითი/ შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის ეფექტური სისტემის განვითარება და ადგილობრივ/საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით საუკეთესო კვლევითი პრაქტიკის გაზიარება;
- ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება;
- სტუდენტების კონტინგენტის დაგეგმვის, ხარისხის ამაღლების და პერსპექტიული აბიტურიენტების მოზიდვის ეფექტური სისტემის გამართვა და განხორციელება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მდგრადი განვითარება და ეფექტური იმპლემენტაცია;
- სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება.

https://eu.edu.ge/strategy

შენობა-ნაგებობები



თანამედროვე და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, უნივერსიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძლიერ მხარეს წარმოადგენს. უნივერსიტეტში არის თანამედროვე კომპიუტერული და სიმულაციური ლაბორატორიები, კეთილმოწყობილი აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები, რომლებიც აღჭურვილია სწავლა-სწავლების პროცესისათვის აუცილებელი ყველა საჭირო ინვენტარით.

აკრედიტებული პროგრამები
2013-2017



უნივერსიტეტი ამჟამად ახორციელებს 17 აკრედიტებულ პროგრამას:

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა;
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამირებისა და ვებდეველოპმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების საბაკალავრო პროგრამა;
- დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა;
- დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;
- ტურიზმის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- ფინანსებისა და საბანკო საქმის საბაკალავრო პროგრამა;
- ქართულ ენაში მომზადების პროგრამა.

სტუდენტების და პერსონალის რაოდენობა

40% ადმინისტრაციის ზრდა 2017 დან 2018 მდე

250 მდე გაიზარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალი



2018 წლისათვის სტუდენტების რაოდენობა

ევროპის
უნივერსიტეტი

ფინანსური
გეგმა

ევროპის უნივერსიტეტის ფინანსური გეგმა

ევროპის უნივერსიტეტის წლიური ხარჯი 2019 წლისთვის შეადგენს - 10 460 779 ₾







სტუდენტური და აკადემიური პერსონალის აქტივობა





ინსტიტუციური განვითარება

კაპიტალიზებული ხარჯი



უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურების დოკუმენტის მიზანია

აღწეროს ბიუჯეტის შემუშავებისა და მონიტორინგის ძირითადი მოთხოვნები და სამუშაოები, მასში ჩართული მხარეები და მათი უფლება-მოვალეობები, აგრეთვე თან ერთვის სტანდარტული ფორმები.

ბიუჯეტის შედგენის ძირითადი ფუნქციები

- უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების განაწილება;
- ძირითადი ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაანალიზება-შეფასება;
- პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების მინიჭება ფაკულტეტებსა და სხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის;
- კონტროლი.

ევროპის
უნივერსიტეტი

ENQA-ს, EQAR-ისა და WFME-ის წევრმა სააგენტომ ევროპის უნივერსიტეტს
საერთაშორისო პრაქტიკა გაუზიარა

2018 წლის 17-18 დეკემბერს, აკრედიტაციისა და რეიტინგის დამოუკიდებელი სააგენტოს (IAAR) ექსპერტებმა ევროპის უნივერსიტეტს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG 2015) შესაბამისად, საერთაშორისო ინსტიტუციური და საერთაშორისო პროგრამული აკრედიტაციის საუკეთესო პრაქტიკა გაუზიარეს. ღონისძიების პირველი დღე დაეთმო დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების განხილვას, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მოთხოვნების მიხედვით. მომდევნო დღის განმავლობაში კი, მიმდინარეობდა ტრენინგი ინსტიტუციური აკრედიტაციის სტანდარტების შესახებ. ტრენინგში ჩართული იყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი.

აკრედიტაციისა და რეიტინგის დამოუკიდებელი სააგენტო (IAAR) არის შემდეგი ორგანიზაციების წევრი: სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია (WFME), უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელი (ENQA), ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების რეესტრი (EQAR), უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საერთაშორისო ქსელი (INQAAHE), უმაღლესი განათლების აკრედიტაციის საბჭო (CIQG), აკადემიური რეიტინგისა და ხარისხის სადამკვირვებლო ორგანიზაცია (IREG) და აზია-წყნარი ოკეანის ხარისხის ქსელი (APQN).

ევროპის უნივერსიტეტის სამომავლო გეგმები

- ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმის გახსნა (გახსნისთვის მზადება მიმდინარეობს და სრულდება არქეოლოგიური სამუშაოები საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე);

- საერთაშორისო ინსტიტუციური აკრედიტაცია და პროგრამული აკრედიტაციის გავლა საერთაშორისოდ აღიარებული სააგენტოს- IAAR მეშვეობით;

  აკრედიტაციისა და რეიტინგის დამოუკიდებელი სააგენტო (IAAR) არის შემდეგი ორგანიზაციების წევრი: სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია (WFME), უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელი (ENQA), ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების რეესტრი (EQAR), უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საერთაშორისო ქსელი (INQAAHE), უმაღლესი განათლების აკრედიტაციის საბჭო (CIQG), აკადემიური რეიტინგისა და ხარისხის სადამკვირვებლო ორგანიზაცია (IREG) და აზია-წყნარი ოკეანის ხარისხის ქსელი (APQN);

- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის გახსნა;

- ინოვაციური სწავლების ტრენინგ ცენტრის დაფუძნება;

ევროპის უნივერსიტეტი

ფ ა კ უ ლ ტ ე ტ ე ბ ი

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი
- სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
- მედიცინის ფაკულტეტი

ბიზნესი და ტექნოლოგიები

ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი ფუნქციონირებს 2014 წლიდან. ფაკულტეტზე სწავლის პროცესში ყურადღება გამახვილებულია სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე. მოგვეხსენება, რომ ბიზნესი და მითუმეტეს, ტექნოლოგიები წარმოადგენს მუდმივად მზარდ და პროგრესულ სფეროებს, შესაბამისად ფაკულტეტი ფეხს უწყობს თანამედროვე ტენდენციებს სფეროში მოწინავე ისეთ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, როგორიცაა Harvard Business Publishing. აღნიშნული თანამშრომლობა საშუალებას იძლევა სტუდენტებმა ისწავლონ თანამედროვე ბიზნეს-ქეისებით და კომპიუტერული სიმულაციებით, რაც მათ კონკურენტუნარიანს ხდის ადგილობრივ თუ საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე. ამასთან, ფაკულტეტი თანამშრომლობს Chartered Institute of Marketing-თან, რომელიც მარკეტინგის სფეროში ერთ-ერთ წამყვან ორგანიზაციას წარმოადგენს.

ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის წარმატების კიდევ ერთი ფაქტორი არის მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელიც გამოირჩევა მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების თეორიული ცოდნის პრაქტიკული ასპექტებით გაჯერებას.

ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი აქტიურად მონაწილეობს ისეთ საერთაშორისო პროექტებში, როგორიცაა Erasmus+ პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს ისწავლონ საზღვარგარეთ.

ფაკულტეტი ატარებს ყოველწლიურ საერთაშორისო სამეცნიერო და სტუდენტურ კონფერენციებს, რაც უზრუნველყოფს ურთიერთობების გამყარებას

საგანმანათლებლო პროგრამები

საბაკალავრო

ფინანსები და საბანკო საქმე
ბიზნესის ადმინისტრირება
ტურიზმის ადმინისტრირება
კომპიუტერული სისტემები და ქსელები
ინფორმატიკა

სამაგისტრო

მენეჯმენტი

თორნიკე ხოშტარია

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი

თორნიკე ხოშტარიამ 2003 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი ეკონომისტის კვალიფიკაციით, 2005 წელს ამავე უნივერსიტეტში მოიპოვა მაგისტრის ხარისხი ექსპერტ-დიპლომატის კვალიფიკაციით. 2010 წელს ასევე მაგისტრის ხარისხი მიენიჭა კარდიფის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების საერთაშორისო მარკეტინგში.

მისი სამეცნიერო კვლევის ობიექტია: ბიზნესის სტრატეგიის ფორმულირება და განხორციელება, მარკეტინგული სტრატეგია, ბაზრის სეგმენტაცია. თორნიკე ხოშტარიას აქვს სხვადასხვა უნივერსიტეტებში მუშაობის მრავალფეროვანი გამოცდილება. აქვს მოპოვებული ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს მუნდუსის და ერაზმუს-ის სტიპენდიები.

კონტაქტი: tkhoshtaria@eu.edu.ge

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი
აკადემიური პერსონალი

გივი ბედიანაშვილი
აფილირებული პროფესორი

გივი ბედიანაშვილი პედაგოგიურ საქმიანობას 2014 წლიდან ეწევა. ამჟამად ევროპის უნივერსიტეტში საერთაშორისო ბიზნესის საფუძვლების სალექციო კურსს უძღვება. ამასთან, 2016 წლიდან არის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის დირექტორი.
მონაწილეობა აქვს მიღებული ათეულობით მეთოდოლოგიური სემინარის მუშაობაში, 25-ზე მეტ ადგილობრივსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციასა და სიმპოზიუმში. გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. არის საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ჟურნალ ეკონომისტის სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს წევრი, ჟურნალ გლობალიზაცია და ბიზნესის რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერტი, ჟურნალ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ცოდნის სარედაქციო კოლეგიის წევრი და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი.

მარიამ კილანავა
აფილირებული ასისტენტი

2012-2014 წლებში მუშაობდა ინგლისური ენის საერთაშორისო გამოცდების მოსამზადებელი ჯგუფების მასწავლებლად, ინგლისური ენის ცენტრ Seven Steps to Success-ში, თარგმანის პრაქტიკისა და თეორიის სამაგისტრო, საბაკალავრო კურსის ლექტორად და ქართულის, როგორც უცხო ენის მასწავლებლად წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში. 2014 წლიდან დღემდე ევროპის უნივერსიტეტში ინგლისური ენის სალექციო კურსს უძღვება.
მარიამ კილანავა არის ინგლისური ენის მასწავლებელთა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. ფლობს TEFL Masters-ის (Level 4) სერტიფიკატს. მონაწილეობა აქვს მიღებული ბევრ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციაში. გამოქვეყნებული აქვს 15-მდე სამეცნიერო ნაშრომი. უცხო ენის სწავლების სფეროში მინიჭებული აქვს 25-მდე სერტიფიკატი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ..

ნათია ხორგუაშვილი
აფილირებული პროფესორი

სხვადასხვა თანამდებობას იკავებდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო-საფინანსო ადმინისტრაციასა და შიდა ქართლის რეგიონულ ხაზინაში, 2005 წელს ამ უკანსაკნელის უფროსის მოადგილე იყო, 2013 წლიდან დღმდე კი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშსწორების სამმართველოს უფროსია. 2013 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში ეწევა. ამჟამად ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე საჯარო ფინანსების სალექციო კურსს უძღვება.
მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების პროგრამებში, მათ შორის: IMF'S Institute For Capacity Development Washington (District Of California), Supporting Public Finance Police and Management Reforms in Georgia და სხვ. 2016 წელს იყო აზერბაიჯანში გამართული სამეცნიერო კონფერენციის - IEEE International Conference on Application of Information and Communication Technologies მონაწილე, 2017 წელს კი ავსტრიის ქალაქ ვენაში გამართული სამეცნიერო კონფერენცია - Risk MAnagement in Treasury Operations მონაწილე და ა.შ. არის ერთი მონოგრაფიის რედაქტორი და არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა და პუბლიკაციის ავტორი.

ეკა დევიძე

პროფესორი

ეკა დევიძე არის ორგანიზაცია ტურიზმი & რეალობას დირექტორი, ტურისტული სააგენტო საბას დამფუძნებელი, სხვადასხვა პროექტის ავტორი და ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების მონაწილე. არის ორგანიზაცია Romualdo Del Bianco-Life beyond Tourism ექსპერტი (იტალია). ასევე ფინალისტი - 2017 წლის ნომინაციაში: ,,საუკეთესო ქალი მეწარმე ტურიზმის ინდუსტრიაში" (Welcome to Georgia, national tourism awards, საქართველო).

ეკა დევიძე არის ევროპის უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი. უძღვება სალექციო კურსს "ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი". გახლავთ 20 სტატიისა და 5 დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი/თანაავტორი.

ქუჯი ბიჭია

პროფესორი

ქუჯი ბიჭიამ 2011 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტი, 2013 წელს ISET-ში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში) მოიპოვა მაგისტრის ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით. 2013-2015 წლებში სწავლობდა დოქტორანტურაზე გერმანიაში, ბილეფელდის უნივერსიტეტში BiGSEM-ის პროგრამაზე, შემდეგ კი გაარძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2019 წლის შემოდგომაზე სწავლობდა გერმანიაში ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში გაცვლით პროგრამაზე. ამჟამად იმყოფება დოქტორანტურის ბოლო სემესტრში.

მისი სამეცნიერო კვლევის ობიექტია: მიკროეკონომიკის, სამრეწველო ეკონომიკის, ქცევითი ეკონომიკისა და თამაშთა თეორიის საკითხები. ქუჯი ბიჭიას აქვს სხვადასხვა უნივერსიტეტში მუშაობის მრავალფეროვანი გამოცდილება. აქვს მოპოვებული სხვადასხვა სტიპენდია სწავლითი პროცესის თითოეულ საფეხურზე.

მონაწილება აქვს მიღებული სხვადასხვა ტრენინგში და 3 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. არის 4 სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი. ამჟამად გახლავთ მოწვეული ლექტორი ევროპის უნივერსიტეტში და ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე უძღვება თამაშთა თეორიის სასწავლო კურსს.

კონტაქტი: q.bichia@eu.edu.ge; q.bichia@iset.ge

სამართალი, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები

სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი 2014 წელს დაარსდა, ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო და მოსამზადებელ საგანმანათლებლო პროგრამებს. ფაკულტეტის მიზანია, უზრუნველყოს მაღალი დონის სპეციალისტების მომზადება, რაც გულისხმობს სტუდენტების უზრუნველყოფას, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული ცოდნით, ამასთან ზრუნავს სტუდენტს გამოუმუშაოს სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევები. ამ მიზნით, სტუდენტები გადიან სამართლის კლინიკებს სასამართლოებსა და სახელმწიფო საჯარო სტრუქტურებში, მონაწილეობას იღებენ სტუდენტურ კონფერენციებსა და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სტუდენტურ აქტივობაში.

სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, უზრუნველყოფს არა მხოლოდ მაღალი დონის სწავლებას, არამედ ახორციელებს დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც. სწორედ ამიტომ, შექმნილია სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც წელიწადში ორჯერ გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს - სამართალი და მსოფლიო.

ფაკულტეტი ორგანიზებას უწევს საერთაშორისო პროექტებს, იწვევს საერთაშორისო ექსპერტებს, მათი მონაწილეობით ატარებს მასტერკლასებსა და სასერტიფიკატო სასწავლო სემინარებს. გარდა ამისა, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს პრაქტიკისა და სტაჟირების გავლის მიზნით ევროპასა და აშშ-ში აგზავნის.

საგანმანათლებლო პროგრამები

საბაკალავრო

სამართალი
საერთაშორისო სამართალი
საერთაშორისო ურთიერთობები
ფსიქოლოგია
ინგლისური ფილოლოგია

მოსამზადებელი

ქართულ ენაში მომზადება
მასწავლებლის მომზადება

სამაგისტრო

სამართალი

იოსებ კელენჯერიძე

სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

იოსებ კელენჯერიძემ 1999 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2000 წელს კი - ამავე უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი რომანისტიკის სპეციალობით (ფრანგული ენა და ლიტერატურა). 2005-2007 წლებში სწავლობდა საფრანგეთში გრენობლის უნივერსიტეტში საერთაშორისო სამართლის სპეციალობით. 2015 წელს მიენიჭა საერთაშორისო სამართლის დოქტორის ხარისხი.

გავლილი აქვს დიპლომირებული სასწავლო კურსები საერთაშორისო სამართალში ჟან მონეს (რენი) და სორბონის (პარიზი) უნივერსიტეტებში. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტში გავლილი აქვს პროფესიული წვრთნისა და კვალიფიკაციის ამაღლების სასერტიფიკატო კურსები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში (2012-2015 წწ). სხვადასხვა დროს მუშაობდა სახელმწიფო სტრუქტურებში. კითხულობს ლექციებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო საჯარო სამართალში. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ გამოცემებში. არის მრავალი საერთაშორისო პროექტის, კონფერენციის, სემინარისა და ტრენინგის ორგანიზატორი და მონაწილე.

იოსებ კელენჯერიძე გახლავთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი. უძღვება სალექციო კურსებს საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიმართულებით.

კონტაქტი: ikelenjeridze@esu.edu.ge

სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი

ნინო ფეტვიაშვილი

აფილირებული პროფესორი

2017 წლიდან ევროპის უნივერსიტეტში მასწავლებლის მოსამზადების საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს. ამასთან, არის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უმცირესობათა ენების ექსპერტ-კონსულტანტი, განათლების ხარისხის განვითარებისეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული დაწესებულებების ავტორიზაციისა დააკრედიტაციის ექსპერტი. გარდა ამისა, პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობისპროგრამის ფარგლებში 6 მოდულური პროგრამის თანაავტორია და DACUM მეთოდოლოგიით - 7 პროფესიული სტანდარტის ექსპერტ-ფასილიტატორი (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულიცენტრი). ნინო ფეტვიაშვილი არის არაერთი მეთოდიკური სტატიის ავტორი ელექტრონულ გაზეთში: maswavlebeli.ge, თანაავტორია სახელმძღვანელო "ევროპა ჩემს გაკვეთილზე".

ზურაბ ქყონია

ასოცირებული პროფესორი

პედაგოგიურ საქიმანობას ეწევა 2010 წლიდან, საბანკო-საფინანსო და მენეჯმენტის უნივერსიტეტის, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტების და კავკასიის საერთაშორისო უნივერისტეტის სამართლის ფაკულტეტებზე. 2011 წლიდან აირჩიეს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე, კერძო სამართლის მიმართულებით.

ევროპის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა გუნდს 2016 წელს შემოუერთდა. ამჟამად სალექციო კურსს კერძო სამართლის მიმართულებით უძღვება. ამასთან, 2015 წლიდან არის ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი და ამავე ინსტიტუტის სამართლის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი სამართალი და მსოფლიოს მთავარი რედაქტორი.

ზურაბ ქყონია 1992-1993 წლებში და შემდგომ 1995-2001 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში, მათ შორის ხელმღვანელ თანამდებობებზე. 2001 წლიდან დღემდე ეწევა საადვოკატო საქმიანობას. 2001-2002 წლებში გახლდათ იურიდიულ ფირმა კორძაძე და სვანიძე ადვოკატებისადვოკატი. 2002-2005 წლებში იყო საადვოკატო ბიურო ქყონია და პარტნიორების მმართველი პარტნიორი. 2005-2006 წლებში მუშაობდა შსს სსიპ სახელმწიფო მატერიალური რეზევრვების დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. 2006 წლიდან დღემდე არის იურიდიული ფირმა ქყონია და კომპანიას დამფუძნებელი და მმართველი პარტნიორი. 2009-2010 წლებში პარალელურად გახლდათ მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი რეგისტას არბიტრი. 2014 წლის აპრილიდან დღემდე არის ააიპ სამართლის მეცნიერთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავმჯდომარე. 2012 წლიდან დღემდე არის კავკასიის ადვოკატთა სკოლა CLS-ის დამფუძნებელი პარტნიორი და დირექტორი. ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით.

ზურაბ ქყონია გახლავთ ათამდე სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი და მონაწილობა აქვს მიღებული 4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. მუშაობს სადოქტორო თემაზე "სასამართლოს როლი სააღსრულებო წარმოებაში."

თათული დოლიძე

ასისტენტ პროფესორი

აქვს იურისტად მუშაობის ათწლიანი გამოცდილება. 2007 წლიდან დღემდე მუშაობდა სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო სექტორში, მათ შორის უზენაეს სასამართლოსა და საქართველოს მთავრობის კანცელარიაში. 2005-2008 წლებში იყო საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემიის ვიცეპრეზიდენტი იყო. 2009 წელს ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის სერტიფიცირებული ტრენერი გახლდათ. 2009-2012 წლებში თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის იურისტისა და სამართლის პროგრამის კოორდინატორის თანამდებობებს იკავებდა. 2012 წლიდან დღემდე არის საკონსულტაციო კომპანია Financial and legal Consulting Group-ის იურიდიული სამსახურის უფროსი და კომპანია ზოდი პლიუსის მთავარი იურისტი. ამასთან არის არაერთი მსხვილი კომპანიის მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში. ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით.

2016 წლიდან ევროპის უნივერსტეტიში სალექციო კურსებს სისხლის სამართლის მიმართულებით ხელმძღვანელობს. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებასა და ტრეინინგში. არის 15 სამეცნიერო სტატიის ავტორი და ორი სახელმძღვანელოს თანაავტორი. ამასთან, 2017 წლიდან არის ევროპის უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

მიხეილ ბიჭია

ასოცირებული პროფესორი

მიხეილ ბიჭიას 2012 წელს მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი (თსუ). სადოქტორო დისერტაცია ეძღვნებოდა თემას „პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით“, სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო პროფესორი თევდორე ნინიძე.

2010-2011 წლებში მოწვეული ლექტორის რანგში ახორციელებდა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, 2011-2013 წლებში იყო ასისტენტ-პროფესორი კავკასიის უნივერსიტეტში, ხოლო 2012-2015 წლებში - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და 2015-2016 წლებში - ამავე უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

2010 წლიდან დღემდე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი.

2013 წლის სექტემბრიდან 2014 წლის სექტემბრამდე სდასუ-ს სამართლის სკოლაში იყო ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე და უძღვებოდა სასწავლო კურსებს კერძო სამართლის მიმართულებით, 2014 წლიდან დღემდე კი მუშაობს ამავე უნივერსიტეტში ასოცირებულ პროფესორად. ამასთან, 2016 წლიდან ახორციელებს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ევროპის უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორის პოზიციაზე.

2015 წლიდან არის თსუ-ს ბაზაზე შექმნილი როგორც თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის, ისე ცივილისტური აზრის ისტორიის ინსტიტუტის წევრი, 2017 წლიდან - სდასუ-ს სამეცნიერო ჟურნალ „სპექტრის“ რედკოლეგიის წევრი. ამასთან, არის სამართლის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრი.

მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მომხსენებლის თუ მოდერატორის სტატუსით. ასევე, 2007-2018 წლებში გაიარა ათზე მეტი პროფესიული ტრენინგი, 2007-2008 წლებში _ სტაჟირება საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ჩაბარებული აქვს ადვოკატთა ტესტირება საერთო სპეციალიზაციით, ასევე, პროკურატურის სახელმწიფო საკვალიფიკაციო გამოცდა. პარალელურად ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას.

იყო ორი სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტი, ასევე, ერთი მონოგრაფიული კვლევის რედაქტორი. არის 45-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 2 მონოგრაფიისა და 2 სახელმძღვანელოს ავტორი, ასევე, 1 უცხოური მონოგრაფიის მთარგმნელი. სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებულია როგორც ქართულ, ისე უცხოურ გამოცემებში.

ავთანდილ კიკნაძე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

1995-2002 წლებში რუსეთის ფედერაციაში არსებულ საქართველოს საელჩოში სხვადასხვა თანამდებობას იკავებდა, იყო საელჩოს საქმეთა მმართველის მოადგილე, პირველი მდივანი და მრჩეველი ეკონომიკის საკითხებში. 2002-2004 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დსთ-ს სამმართველოში მრჩევლის თანამდებობას იკავებდა. პედაგოგიურ საქმიანობას 2003 წლიდან ეწევა. ამჟამად ევროპის უნივერსიტეტში სალექციო კურსებს შემდეგი მიმართულებთ უძღვება: შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში და საზღვარგარეთის ქვეყნების თანამედროვე დიპლომატია.

ავთანდილ კიკნაძეს გამოქვეყნებული აქვს 29 სამცნიერო ნაშრომი და სტატია დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური სამსახურისა და საგარეო პოლიტიკის, ევროპის უსაფრთხოებისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე. მისი სამეცნიერო კვლევის სფეროებია: მსოფლიო პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, დიპლომატია, მოლაპარაკებების თეორია, აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ავთანდილ კიკნაძე არის შპს თავისუფალი სკოლის დამფუძნებელი.

გიორგი ხატიძე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

სხვადასხვა დროს მუშაობდა საჯარო და კერძო ორგანიზაციებში, მათ შორის საქართველოს ეროვნულ ბანკში (2004-2005 წ.წ.). სილქ როუდ ჯგუფში, სამართლებრივ საკითხებში გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე (2012-2016 წ.წ.). მსოფლიო ბანკში, საქართველოში საინვესტიციო გარემოს პროექტზე იურიდიული მრჩევლის თანამდებობაზე (2014-2016 წ.წ.). 2016 წლიდან დღემდე გახლავთ საქართველოს IX მოწვევის პარლამენტის წევრი.

2010 წლიდან გიორგი ხატიძე ეწევა აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში, როგორც საქართველოში ისე უცხოეთში. 2014 წელს, გახლდათ მასარიკის უნივერსიტეტის (ბრნო, ჩეხეთის რესპუბლიკა) იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო და ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მოწვეული პროფესორი. 2012-2016 წლებში კი ჩესტერის უნივერსიტეტის (დიდიბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო) ასოცირებული ლექტორი. პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურმეცნიერებათა ფაკულტეტზე.

2013-2016 წლებში გახლდათ მეცნიერების, განათლების, ინდუსტრიისა და ხელოვნების საერთაშორისოაკადემიის საერთაშორისო იურიდიული კომიტეტის წევრი (სილიკონ ველი, კალიფორნია, აშშ). 2005 წლიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. 2014 წლიდან დღემდე გიორგი ხატიძე გახლავთსამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი. 2007 წელს სამეცნიერო -კვლევით საქმიანობასეწეოდა ენერგეტიკის, ენერგო და მინერალური რესურსების პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხებისცენტრში (დანდის უნივერსიტეტში, შოტლანდია, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიისგაერთიანებული სამეფო). გახლავთ სამეცნიერო სტატიებისა და მონოგრაფიების ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც საქართველოში ისე უცხოეთში. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთსამეცნიერო კონფერენციაში.

მედიცინა

ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადია საქართველოში სამედიცინო განათლების მიღების მსურველ უცხოელ სტუდენტთა შორის. ამჟამად, ფაკულტეტი ქართულ და ინგლისურ ენებზე დიპლომირებული სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს, მხოლოდ ინგლისურ ენაზე, კი, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამას. ფაკულტეტზე სწავლობენ საქართველოს, ინდოეთის, თურქეთის, ეგვიპტისა და ირანის მოქალაქეები.
ამ ეტაპზე, ევროპის უნივერსიტეტი თანამშრომლობს საქართველოს წამყვან სამედიცინო დაწესებულებებთან, სადაც აღნიშნული ფაკულტეტის სტუდენტები თეორიულად მიღებულ ცოდნას პრაქტიკულად ეუფლებიან. უახლოეს მომავალაში საკუთარი კლინიკის აშენებასაც ვგეგმავთ.

საგანმანათლებლო პროგრამები

ერთსაფეხურიანი

დიპლომირებული მედიკოსი
სტომატოლოგია

უნივერსიტეტის წარმომადგენლობა მუდმივად ესწრება უცხოეთში გამართულ საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებს, ამყარებს ახალ კავშირებს ევროპისა და აზიის წამყვან უნივერსიტეტებთან.

2017 წელს ევროპის უნივერსიტეტმა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ახალი შენობა შეიძინა, რომელიც უკვე აღიჭურვა სამედიცინო ინვენტარით. ამავე წლის ოქტომბერში, ევროპის უნივერსიტეტმა ორგანიზაცია Trapezium Education Network-თან ექსკლუზიური ხელშეკრულებაც გააფორმა, რომლის ფარგლებშიც მედიცინის ფაკულტეტის ინდოელ სტუდენტებს MCI-ის (Medical Council of India) საკვალიფიკაციო გამოცდისთვის ევროპის უნივერსიტეტში მოწვეული ინდოელი ლექტორები მოამზადებენ.

ნათია ჯოჯუა

მედიცინის ფაკულტეტის დეკანი

ნათია ჯოჯუამ 2005 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა, 2007 წელს ამავე უნივერსიტეტში ბიოლოგიის მაგისტრის ხარისხი მოიპოვა, 2015 წელს კი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ბიოქიმიის დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

2007-2011 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ლაბორანტად, 2014-2015 წლებში - ტრენერი ევროკავშირის ტემპუსის პროექტში - Project Actors Capacity Training in Caucasus, (PACT). 2008 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტში მოწვეული პედაგოგად მუშაობდა. ევროპის უნივერსიტეტის გუნდს 2015 წლიდან შემოუერთდა, ამჟამად მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე სამედიცინო ბიოლოგიის და ბიოქიმიის კურსს უძღვება.

ნათია ჯოჯუა სხვადასხვა წლებში მონაწილეობას იღებდა ადგილობრივსა და საერთაშორისო კონფერენციებსა და ვორქშოპებში, მათ შორის: ბრიტანეთის ბიოქიმიური საზოგადოებისა და ევროპელ ბიოქიმიკოსთა საზოგადოებების ფედერაციის (FEBS) ერთობლივი ვორქშოპში'' Innovations in molecular bioscience education'', ევროპელ ბიოქიმიკოსთა საზოგადოებების ფედერაციის (FEBS) ვორქშოპში - ''Molecular Life Science Education'', საქართველოს ბიოქიმიკოსთა ასოციაციის I კონფერენციასა და სხვ. მოპოვებული აქვს არაერთი გრანტი და სტიპენდია: ევროპელ ბიოქიმიკოსთა საზოგადოებების ფედერაციის (FEBS) სამოგზაურო გრანტი ახალგაზრდა მეცნიერთათვის, მეცნიერების მსოფლიო ფედერაციის ერთწლიანი გრანტი (ჟენევა, შვეიცარია), ევროპელ ბიოქიმიკოსთა საზოგადოებების ფედერაციის (FEBS) სამოგზაური გრანტი ახალგაზრდა მეცნიერთათვის და ა.შ. 2012 წლიდან არის ევროპელ ბიოქიმიკოსთა საზოგადოებების ფედერაციის (FEBS) წევრი, 2013 წლიდან ევროპელ ნეირომეცნიერთა საზოგადოებების ფედერაციის (FENS) წევრი. არის სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორი.

კონტაქტი: jojua.natia@eu.edu.ge;

გიორგი გურგენიძე
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი

გიორგი გურგენიძემ 1985 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა, მინიჭებული აქვს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური და ექსპერიმენტალური ალერგოლოგიის ლაბორატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი და ხელმძღვანელია, ამასთან, არის სამედიცინო კორპორაცია ევექსის ამბულატორიული ცენტრის ექიმი-ალერგოლოგი.

გიორგი გურგენიძე 1988-2003 წლებში პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგან სნეულებათა კათედრაზე ეწეოდა. ამჟამად ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური უნარჩვევების სალექციო კურსს უძღვება. 2003-2012 ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის შინაგან სნეულებათა და პოლიკლინიკური დეპარტამენტების უფროსის თანამდებობას იკავებდა. 2002-2006 საქართველოს მეცნ.აკადემიის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის ალერგოლოგიის განყოფილების - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 2006-2012 წლებში კი საქართველოს მეცნ. აკადემიის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური და ექსპერიმენტული ალერგოლოგიის ლაბორატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი იყო. 2012-2015 წლებში მუშაობდა კლინიკა ინტერმედერვისში (განჯა, აზერბაიჯანი) ექსპერტისა და კონსულტანტის პოზიციაზე თერაპიის დარგში. 2012 წლიდან დღემდე სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური და ექსპერიმენტული ალერგოლოგიის ლაბორატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი და ხელმძღვანელია.
სხვადასხვა წლებში მოპოვებული აქვს გრანტები და ჯილდოები, მათ შორის: ასთმის XIII მსოფლიო სამეცნიერო კონგრესის ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტი (იაპონია), ახალგაზრდა მეცნიერთა ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის XV საერთაშორისო კონგრესის გრანტი (შვედეთი) და სხვ. გამოქვეყნებული აქვს 106 სამეცნიერო ნაშრომი. არის ევროპის ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის აკადემიის წევრი.

ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის, შინაგანი სნეულებების, კლინიკური ფარმაკოლოგიის, ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის, პულმონოლოგიის დისციპლინებში.

მაია ჟამუტაშვილი
მედიცინის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

მაია ჟამუტაშვილმა 1984 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი, შემდეგ გაიარა კლინიკური ორდინატურა ამავე ინსტიტუტის რეანიმაცია-ანესთეზიოლოგიის კათედრის ბაზაზე. 1995 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე "ლიმფოციტების, ნატურალური კილერების და კლინიკურ-ბიოქიმიური მაჩვენებლების დინამიკის თავისებურებანი ჰეპატიტით დაავადებულ ბავშვთა კომპლექსურ თერაპიაში პრეპარატ პლაფერონ - ლ.ბ-ს ჩართვისას" და მიენიჭა მედიცინის დოქტორის ხარისხი.

1984 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა, მათ შორის, იყო რეანიმაცია-ანესთეზიოლოგიის კათედრის კლინიკური ორდინატორი. ამჟამად გახლავთ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ექიმი-ინფექციონისტი, ამასთან, ამავე პოზიციას იკავებს ქართულ-ფრანგული ეთობლივ ჰეპატოლოგიურ კლინიკა ჰეპაში. ამასთან, გახლავთ ლიმბახის დიაგნოსტიკის ევროპული ჯგუფის მრჩეველი (ექიმი ინფექციონისტი).

პედაგოგიურ საქმინობას 1989 წლიდან სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ეწევა.
მაია ჟამუტაშვილი 1987 წლიდან არის საქართველოს ინფექციონისტთა ასოციაციის წევრი, 2005 წლიდან - ევროპის ღვიძლის შემსწავლელთა ასოციაციის ნამდვილი წევრი, 2017 წლიდან - აზიის ღვიძლის შემსწავლელთა ასოციაციის ნამდვილი წევრი. ასევე, გახლავთ საქართველოს ინფექციონისტთა, პარაზიტოლოგთა, ჰეპატოოგთა, ეპიდემიოლოგთა და მიკრობიოლოგთა ასოციაციის საზღვარგარეთთან ურთიერთობის კომიტეტის თავჯდომარე.
არის 44 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

დავით მალიძე

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

დავით მალიძემ 1985 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისამკურნალო განხრით, 2007 წელს კი მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. დავით მალიძე სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საავადმყოფოსა დაუკრაინის კარდიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტში, 1992-1997 წლებში კი ავსტრიის კომპანია მარკო პოლოს სამედიცინო მენეჯერის თანამდებობას იკავებდა. 2011 წლიდან არის DKC-ს სამკურნალო კომბინატის კარდიოლოგი, 2012 წლიდან - ნიუ ჰოსპიტალსის კარდიოვასკულური დეპარტამენტის ინტენსიური კარდიოლოოგის ექიმი, ამავე წლიდან - სამკურნალო ცენტრ ქირონისინტერვენციული კარდიოლოგიის ექიმი. 2014 წლიდან იკავებს ონკოლოგიური დისპანსერის კარდიოლოგის თანამდებობას, 2010 წლიდან კი არის საქართველოს გადაუდებელი დახმარების ექიმების კოლეჯის (GCEP) ACLS ინსტრუქტორი. ამჟამად პედაგოგიურ საქმიანობას ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ეწევა.
2014 წლიდან დავით მალიძე არის საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოების (GCS) წევრი, 2004 წლიდან - ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების წევრი (ESC), 2007 წლიდან - ევროპის პერკუტანეული კარდიოვასკულარული ინტერვენციული ასოციაციის (EAPCI) წევრი, 2009 წლიდან კი -საქართველოს გადაუდებელი დახმარების ექიმების კოლეჯის (GCEP) წევრი. სხვადასხვა დროს გავლილი აქვს, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ტრენინგები, მათ შორის: The European Board For accreditation in cardiology – " Core Curriculum Course on cardiac Arrhythmias ", სტაჟირება ჰამბურგის საუნივერსიტეტო კლინიკის კარდიოქირურგიული განყოფილებაში და სხვ.

ზაზა ავალიანი

მედიცინის დოქტორი, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

ზაზა ავალიანმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი 1984 წელს წარმატებით დაასრულა, 1979-1982 წლებში კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე თავისუფალი მსმენელი იყო. 2003 წელს მას მედიცინის დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

2001 წლიდან იყო ფიფიას სახ. სამედიციო ინსტიტუტის პროფესორი, 2007-2010 წლებში კი - აიბი ევროკავკასიური უნივერსიტეტის სრული პროფესორი. 2014-2016 წლებში ლექციებს თბილისის სამედიცინო აკადემიაში კითხულობდა. ამჟამად გახლავთ ევროპის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა სეფსისის საწინააღმდეგო ეროვნულ ცენტრსა და ალადაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში. 2003-2006 წლებში იკავებდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პრორექტორისა და სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას, 2007-2009 წლებში კი იყო ავერსის კლინიკის სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის სამსახურის უფროსი. 2005-2013 იყო ბიოთეკის ეროვნული საბჭოს წევრი, საქართველოს ჯანმრთელობის, შრომის, სოციალური დაცვის სამინისტროსექსპერტი, 2006 წელს კი - საერთაშორისო განათლების საბჭოს ექსპერტი. 2006-2008 საერთაშორისო სამედიცინო საკონსულტაციო ჯგუფ - კურაციოს წევრი. 2009-2010 წლებში იკავებდა თბილისის პროფესიული განათლების ცენტრ სპექტრის დირექტორის თანამდებობას. 2011 კლინიკათა ქსელ - ჯეოჰოსპიტალსის პათოლოგანატომი გახლდათ. 2012-2014 წლებში იკავდებდა თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს ამბულატორიული ნაწილის ხელმძღვანელისა და ამავე საავადმყოფოს პათოლოგანატომის თანამდებობას. 2011-2014 წლებში აბელოფის ლაბორატორია - კიბოს კვლევის ცენტრის მთავარი ექიმი იყო. 2014 წლიდან დღემდე არის ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორი.

ზაზა ავალიანი ავტორია 87 ნაბეჭდი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალებშიც. არის არაერთი პროფესიული ასოციაციის წევრი, მათ შორისაა: AMEE(Association For Medical Education In Europe, საქართველოს პათოლოგთა ასოციაცია XXI (პრეზიდენტი), ათეროსკლეროზის ასოციაცია, საქართველოს სამედიცინო განათლების პროფესიონალთა ასოციაცია (პრეზიდენტი), საქართველოს კლინიკურ პათოლოგთა ასოციაცია და სხვა.

ვერა(ხათუნა) ცომაია

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ვერა ცომაიამ 1993 წელს წარმატებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის სპეციალობით; 1997 წელს - ამავე უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტურა, უჯრედის ბიოლოგიის სპეციალობით. 1999 წელს ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა („შეკავების ნეირონული მექანიზმები პირველად ეპილეპტოგენურ კერებში“).

1993-1996 წლებში მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრედის ბიოლოგიის კათედრაზე, 1996-2006 ამავე უნივერსიტეტში ნეირობიოლოგიის ლაბორატორიაში; 2010-2017 წლებში ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორიაში მეცნიერ თანამშრომლის პოზიციას იკავებდა, 2017 წელს - ამავე ცენტრის ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის. ამჟამად ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია.

მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო და ეროვნულ კონფერენციებსა და საკვალიფიკაციო ტრენინგებში, მათ შორის: IBRO 2000 Summer School, Tihany, Hungary (2002), Meeting of the Physiological Society, Oxford, United Kingdom (2001), Seminars at the Unité de Neurosciences Intégratives et Computationnelles (UNIC) and at the Institute Henri Poincare, Paris (2002).

მიღებული ჯილდოები და სტიპენდიები: 2002 - CNRS სტიპენდია, 2002-2004 - Wellcome Trust სტიპენდია, 2001 - IBRO სტიპენდია, 2001 - ბრიტანეთის ფიზიოლოგიური საზოგადოების სამოგზაურო გრანტი, 2000 - UNESCO საერთაშორისო კონფერენცია (II პრემია).

არის საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების, თავის ტვინის კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO), ევროპელ ნეირომეცნიერთა გაერთიანებების ფედერაციის (FENS) წევრი

გიორგი შენგელიძე

დოქტორანტი, ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალი

გიორგი შენგელიძემ 2013 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, 2013 წლიდან კი სწავლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე (კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა).

2010-2011 წლებში რესპუბლიკური საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების განყოფილების სამედიცინო ასისტენტი იყო. 2013 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოში მოქმედ სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ეწევა. ევროპის უნივერსიტეტის გუნდს 2017 წლიდან შემოუერთდა.
არის რამდენიმე შრომის ავტორი და თანაავტორი.

ცისანა გიორგაძე

ბიოლოგიის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

ცისანა გიორგაძემ 1986 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, 1992 წელს კი მოსკოვის ბიოქიმიის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 2006 წლიდან არის ბიოლოგიის დირექტორი. ამჟამად არის ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

ცისანა გიორგაძე 1986-2006 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში, საუნივერსიტეტო პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა 2007 წლიდან. მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერანციებსა და საგრანტო პროექტებში. არის ათამდე სამეცნიერო ნაშრომისა და და პატენტის ავტორი.

თინათინ გოგნაძე

მედიცინის დოქტორი

თინათინ გოგნაძემ 2004 წელს წარმატებით დაამთავრა „ავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი“ სამკურნალო განხრით. 2008 წელს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიაში მოიპოვა დოქტორის ხარისხი. 2010 წელს მიენიჭა სახელმწიფო სერთიფიკატი მეანობა-გინეკოლოგიის სპეციალობთ.
2004-2007 წლებში მუშაობდა თბილისის ექსპერიმენტულ სამშობიარო სახლში.
2008-2010 წლებში იმედის კლინიკაში. 2012-2013 წლებში „ჩვენი კლინიკა“-ში მეან -გინეკოლოგად.
2013-2016 წლებში იყო მოწვეული ლექტორი პეტრე შოთაძის სახელობის სამედიცინო აკადემიაში.
2013-2019 წლებში იკავებდა მარკეტინგული ჯგუფის ხელმძღვანელის თანამდებობას შ.პ.ს. „აისი მედში“.
2016-2019 წლებში იყო საქართველოს მედიცინის, ფარმაციის და სოციალური დაცვის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის, პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე. 2016-2018 წლებში საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, აკადემიური საბჭოს წევრი.
2016 წლიდან არის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. საქართველოს ექთნებისა და თანაშემწეების პროფესიული განვითარების ასოციაციის ტრენერი. 2018 წლიდან არის მოწვეული ლექტორი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.
ევროპის უნივერსიტეტის გუნდს შემოუერთდა 2018 წლიდან.
არის აფილირებული, ასოცირებული პროფესორი.

მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებსა და ვორქშოპებში.

თინათინ გოგნაძე არის 4 სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი

კონტაქტი: tinatin.gognadze@eu.edu.ge

ევროპის
უნივერსიტეტი

OSCE

ს ი მ უ ლ ა ც ი უ რ ი გ ა მ ო ც დ ა
მედიცინის ფაკულტეტზე

2018 წლის 21 ნოემბერს, ევროპის უნივერსიტეტში OSCE-ის (ობიექტურად კონსტრუირებული კლინიკური გამოცდა) სიმულაციური გამოცდა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობდნენ, როგორც ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის, ისე სხვა ფაკულტეტის სტუდენტები. სიმულაციური გამოცდა სამდღიანი ვორქშოფის ფარგლებში ჩატარდა, რომელსაც მედიცინის საერთაშორისო ექსპერტი, ეგეს უნივერსიტეტის (თურქეთი) ასოცირებული პროფესორი, აიან ჩალიშკანი, უძღვებოდა.

ვორქშოფის ფარგლებში, OSCE-ს იმიტირებული გამოცდისთვის სპეციალურად გაიწერა სცენარები, რომლებშიც სიმულაციური პაციენტების როლს ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები, გიორგი ლოთიშვილი და თამუნა მელანაშვილი ასრულებდნენ. მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა იმიტირებული გამოცდა ოთხ სხვადასხვა ოთახში, ე.წ. სადგურში ჩააბარეს, მათი გამომცდელების როლს კი ვორქშოფში მონაწილე ლექტორები ასრულებდნენ.
ამ ეტაპზე, ევროპის უნივერსიტეტი OSCE-ის გამოცდას სასწავლო პროცესში ნერგავს.

კვლევა
ეროვნული
უნივერსიტეტი

ევროპის
უნივერსიტეტი

კვლევითი

ინსტიტუტები

ევროპის
უნივერსიტეტი

სამართლის სამეცნიერო - კვლევითი
ინსტიტუტი

LAW SCIENTIFIC - RESEARCH
INSTITUTE

გლობალიზაციის ეკონომიკური
და სოციალური პრობლემების
კვლევითი ინსტიტუტი

ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან 2015 წელს ჩამოყალიბდა სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც გამოსცემს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალს სამართალი და მსოფლიო.

ინსტიტუტის მიზნები

საერთაშორისო თავისუფალ სამეცნიერო და საგანმანათლებლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა და მისი აქტიური წევრობა.
სამართლის სფეროში ქართველ და უცხოელ პარტნიორებთან ერთად ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება.
ტრენინგების, კონფერენციების, ლექცია-სემინარების, სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და სხვა ტიპის ღონისძიებების ორგანიზება.
სხვადასხვა დონის მსურველთათვის სამართლის სხვადასხვა დარგში კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა.
საერთაშორისო და რეგიონალური მაშტაბით კონკურსებისა და ოლიმპიადების ჩატარება.
შესაბამის საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თანამშრომლობა.
სამართლის დარგში მიმდინარე მეცნიერული და ანალიტიკური კვლევა და მოპოვებული მასალის გამოქვეყნება.
პუბლიკაციების მომზადება და გამოცემა (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ჟურნალები).
სამართლის დარგის განვითარების ხელშეწყობა.

ინსტიტუტის საქმიანობის ფორმები

ატარებს სემინარებს, დისკუსიებს, კონფერენციებს, სასწავლო კურსებს, პრეზენტაციებს, კონკურსებს და სხვადასხვა სახის აქტივობას.
თანამშრომლობს სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სახელისუფლებო სტრუქტურებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორებთან.
მონაწილეობას იღებს პროექტებსა და კონკურსებში, გამოდის პროექტებისა და კონკურსების ინიციატორად.
ახორციელებს იურიდიულ საკონსულტაციო მომსახურებას.
გამოდის სასამართლოში ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესების დასაცავად.
ახდენს ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტების ჩართულობას სასამართლო პროცესებში.
თანამშრომლობს უცხოეთის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან.
ახორციელებს უცხოეთიდან პროფესორ-მასწავლებელთა ჩამოყვანას და ორგანიზებას უწევს ევროპის უნივერსიტეტში მათ მიერ ლექციების წაკითხვას.
გამოსცემს სამართლის დარგში სამეცნიერო ჟურნალს, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით.
თარგმნის უცხოურ სახელმძღვანელოებსა ქართულ ენაზე და გამოსცემს მათ.
ეწევა სხვა სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი 2016 წელს დაარსდა. ინსტიტუტის პერსონალი და ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესურ-მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, ჩართულნი არიან საქართველოსა და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტების სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებში. ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი და ზემოაღნიშნული ინსტიტუტი გამოსცემენ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალს - გლობალიზაცია და ბიზნესი. ინსტიტუტი თანამშრომლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტთან, რეგულარულად ატარებს სამეცნიერო თეორიულ სემინარებს ამავე უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტების ჩართულობით. გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევით ინსტიტუტს დაარსების დღიდან ხელმძღვანელობს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი - გივი ბედიანაშვილია.

ინსტიტუტის ძირითადი ამოცანები

უნივერსიტეტში თანამედროვე ცოდნაზე და ხარისხზე ორიენტირებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება.
ადგილობრივ, საერთაშორისო, რეგიონულ ორგანიზაციებთან, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ მისიებთან ინსტიტუციონალური თანამშრომლობა სამეცნიერო, კულტურულ და საინფორმაციო სფეროებში.
კვლევების შედეგების პოპულარიზაციის მიზნით, უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურების მეშვეობით კონტაქტების დამყარება უცხოურ უნივერსიტეტებსა და ბიზნეს-სექტორთან.
უნივერსიტეტის მეცნიერ-მკვლევართა საერთაშორისო საგანმათლებლო და აკადემიური განვითარების მიზნით, სხვადასხვა პროექტის განხორციელება (სტაჟირება, სწავლება, გაცვლითი პროგრამები, გრანტები, სტიპენდიები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, წამყვანი სპეციალისტების მოწვევა ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა და სხვა).
საერთაშოსო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების ორგანიზების ხელშეწყობა.
ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტთან ერთად, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, სხვა მეცნიერთა კვლევების და სპეციალისტთა პრაქტიკული საქმიანობის შედეგების საფუძველზე, პერიოდული ჟურნალის - გლობალიზაცია და ბიზნესი - მომზადება-გამოცემის ორგანიზაციზება.

ინსტიტუტი სამეცნიერო კვლევებს წარმართავს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

გლობალიზაციის ეკონომიკური პრობლემების კვლევა.
გლობალიზაციის სოციალური პრობლემების კვლევა.
გლობალური ბიზნესგარემოს კვლევა.
გლობალური ბიზნესის თავისებურებების კვლევა.
საქართველოს ევროინტეგრაციულ პროცესებში ჩართვის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევა.
ევროკავშირის ბიზნესგარემოს თავისებურებების კვლევა.
კავკასიის და მეზობელი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური სისტემების კვლევა.
გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ინსტიტუციური განვითარების მიმართულების კვლევა.
გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პროცესების დესკრიპციული და ნორმატიული პროგნოზების მოდელირების საკითხების კვლევა.
გლობალიზაციის კონტექსტში ტექნოლოგიური პრობლემატიკის კვლევა.
გლობალიზაციის პროცესების გათვალისწინებით საქართველოში ტურიზმის განვითარების პრობლემების კვლევა.

ევროპის
უნივერსიტეტი



ჟ ურ ნ ა ლ ებ ი

ჟურნალი სამართალი და მსოფლიო

ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემა „სამართალი და მსოფლიო“ 2015 წლიდან გამოდის, რომლის მთავარი რედაქტორია პროფესორი იოსებ კელენჯერიძე. ჟურნალში სტატიები ქართულ და ინგლისურ ენებზე იბეჭდება. ამ პერიოდის განმავლობაში, გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების მნიშვნელოვანი ნაშრომები.

2018 წელს ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო კვლევითი უნივერსიტეტის სამეცნიერო - ,,სამართალი და მსოფლიოს“ ორი გეგმიური ჟურნალი გამოიცა - მეცხრე და მეათე ნომერი.
გამოცემებში დაიბეჭდა ქართველი და უცხოელი ავტორების სამეცნიერო შრომები, ასევე პრაქტიკოსი იურისტების კვლევები და ინტერვიუები. ჟურნალის მე-10 ნომერი დაყოფილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში მოცემულია ტრადიციული სამეცნიერო სტატიები. მეორე ნაწილი 2018 წლის 17 მაისის საკონფერენციო შრომებს მიეძღვნა.

2018 წელს ინსტიტუტის სამეცნიერო გამოცემამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა

ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჟურნალი „სამარ თალი და მსოფლიო“ შემდეგ საერთაშორისო სამეცნიერო ინდექსირებად ბაზებში განთავსდა

The International Journal ImpacFactor (IJIFACTOR) - წარმოადგენს ჟურნალებისა და პერიოდული გამოცემების ბაზების საჯაროდ ხელმისაწვდომ არაკომერციულ პორტალს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. IJIFACTOR არის რეფერირებადი ლიტერატურის (სამეცნიერო ჟურნალების, წიგნების, კონფერენციების პუბლიკაციების) აბსტრაქტებისა და ციტირებების ერთ-ერთი უდიდესი მონაცემთა ბაზა. IJIFACTOR უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის, რეფერირებადი ჟურნალებისა და სტატიების სრული ტექსტების შეუზღუდავ ხელმისაწვდომობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გლობალური კვლევებისა და სამეცნიერო საზოგადოების მაღალი მოთხოვნები.

ჟურნალი სამართალი და მსოფლიო

Scientific Indexing Services(SIS) ორიენტირებულია მკვლევარის თვის აკადემიური ბაზების მომსახურებათა შეთავაზებაზე, რაც მოიცავს ციტირების ინდექსირებას, ანალიზს და უზრუნველყოფს ციტირების მონაცემთა ბაზების მართვას, რომელიც მოიცავს ათასობით აკადემიურ ჟურნალს, წიგნს, გამოცემას. ორგანიზაცია ორიენტირებულია ხარისხობრივი და რაოდენობრივი მექანიზმის გამოყენებაზე რანგირების, შეფასებისა და კატეგორიზაციის მიზნით. შეფასება იწარმოება ისეთ ფაქტორებზე დაყრდნობით, როორიცაა ნაშრომის ორიგინალურობა, ციტირება, რედაქტირების ხარისხი, მუდმივობა და სართაშორისო ცნობადობა, რისთვისაც გამოიყენება სიღრმისეული ანალიზის მეთოდი.

International Scientific Indexing– ISI სერვერი აერთიანებს მთავარი საერთაშორისო ჟურნალებისა და გამოცემების ინდექსირებას. ავტორს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის,
გამოცემების (კვლევების) და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ISI არის სერივისი, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხობრივად კონტროლირებული ღიად ხელმისაწვდომი ჟურნალებისადმი წვდომას. ISI ორიენტირებულია იყოს ყოვლისმომცველი და მოიცვას ყველა ღიად ხელმისაწვდომი სამეცნიერო ჟურნალი, რომელიც იყენებს ხარისხის შე მოწმების შესაბამის სისტემას და არ შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტული ენით ან სფეროთი.

Open Academic Journals Index(OAJI) არის ღიად ხელმისაწვდომი სამეცნიერო ჟურნალების მონაცემთა ბაზა, რომელიც დაფუძნებლია აშშ-ში, ორგანიზაცია International Network Center for Fundamental and Applied Research-ის მიერ. იგი უზრუნველყოფს ღიად ხელმისაწვდომი ჟურნალების ინდექსირებისთვის საერთაშორისო პლატფორმის განვითარებას. OAJI-ს მიერ ფორმირებული
ჟურნალის გლობალური მიმდინარე ინდექსი შედგენილია იმის მიხედვით, თუ როგორი გლობალური მიმდინარეობები და გამოწვევებია სახეზე.

ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი

ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი (http://www.eugb.ge/) ევროპის უნივერსიტეტში 2016 წლიდან გამოდის. ჟურნალის დაარსებიდან დღემდე მისი მთავარი რედაქტორია ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი გივი ბედიანაშვილი. ჟურნალის ყოველმხრივ მხარდაჭერას ახორციელებენ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი ლაშა კანდელაკიშვილი და ვიცე-რექტორი, პროფესორი გოჩა თუთბერიძე.

ჟურნალის გამოცემაზე მუშაობს ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ჩართულობით.

ჟურნალში სტატიები ქართულ და ინგლისურ ენებზე იბეჭდება. ამ დროის განმავლობაში, ჟურნალში გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების საინტერესო სამეცნიერო კვლევების შედეგები. აღნიშნული ხელს შეუწყობს მთლიანად ევროპის უნივერსიტეტის, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის საქართველოში და საერთაშორისო ცნობადობის გაზრდას, მის მსოფლიო სამეცნიერო და კვლევით ურთიერთობებში აქტიურ ჩართვას.

აღსანიშნავია, რომ ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი 2018 წლის აპრილში ინდექსირებადი გახდა ცნობილ საერთაშორისო საძიებო ბაზაში – ERIH PLUS (European Reference Index for the Humanities and the Social Sciences), რომელსაც ადმინისტრირებას უკეთებს Norwegian Social Science Data Services (ნორვეგია), რაც ჟურნალის საერთაშორისო აღიარებას ნიშნავს.

ERIHPLUS
EUROPEAN REFERENCE INDEX FOR THE HUMANITIES AND SOCIAL SCIENCES

INTERNATIONAL
Scientific Indexing



განხორციელებული პროექტები

მესამე საერთაშორისო კონფერენცია „აქტუალური ეკონომიკური და სოციალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში“

2018 წლის 30 ივნისს გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის და ევროპის უნივერსიტეტის ინსტიტუციური მხარდაჭერით გაიმართა მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „აქტუალური ეკონომიკურ და სოციალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში“.

კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინა 47 მეცნიერ-მკვლევარმა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, მათ შორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან, საქართველოს საპატრისრაქოსთან არსებული ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ქუთაისის უნივერსიტეტიდან და უშუალოდ ევროპის უნივერსიტეტიდან. იყვნენ წარმოდგენილი მონაწილეები უცხოეთიდან - უკრაინიდან, თურქეთიდან, ირანიდან, პოლონეთიდან და ლატვიიდან.

კონფერენცია მიმდინარეობდა პლენალური სხდომის და ორი სექციის მუშაობის ფორმატში.
პლენალურ საქციას ხელმძღვანელობდნენ პროფესორები: გ. თუთბერიძე და გ. ბედიანაშვილი. პლენალურ სხდომაზე გამომსვლელებიდან უნდა გამოიყოს პროფესორ მიხეილ თოქმაზიშვილის მოხსენება თემაზე „გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება“, პროფესორ გოჩა თუთბერიძის მოხსენება „ფინანსური ბაზრები და ეკონომიკური ზრდა“, პროფესორ გიორგი ღაღანიძისა და ასოც. პროფესორ ბადრი რამიშვილის მოხსენება „როგორ შევაფასოთ საექსპორტო სტრატეგიების ეფექტიანობა“, პროფესორ გივი ბედიანაშვილის მოხსენება „ცოდნის ეკონომიკა, სამეწარმეო საქმიანობა და კულტურის ფაქტორი გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში (გამოწვევები საქართველოსთვის)“, პროფესორი ლუკას ამბროსიაკის მოხსენება „პოლონეთის და საქართველოს აგროპროდუქტების კონკურენტუნარიანობა ევროკავშირის ბაზარზე (კომპარატიული ანალიზი)“, პროფესორ ნუგზარ თოდუას მოხსენება „ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებული მყიდველობით ქცევაზე სასურსათო პროდუქციის მარკირების გავლენა“, პროფესორ ავთანდილ სულაბერიძის მოხსენება „საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ისტორიული პერიოდიზაცია“, პროფესორ იოსებ არჩვაძის მოხსენება „გლობალიზაცია და ეგზოგენური ფაქტორების გავლენა საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე“, პროფესორ თორნიკე ხოშტარიას მოხსენება „სტრატეგიული დაგეგმვის ზეგავლენა ორგანიზაციის შედეგებზე სტრატეგიის განხორციელებისას“ – სულ 15 მოხსენება.

კონფერენციის პირველ სექციაზე (ხელმძღვანელი პროფ. მიხეილ თოქმაზიშვილი და ასოც. პროფ. თამილა არნანია-კეპულაძე) მოსმენილ იყო 11 მოხსენება, მეორე სექციაზე (ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორები თეა მუნჯიშვილი და ბადრი რამიშვილი) გამოვიდა 14 მომხსენებელი.

პირველი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია "ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმების ძიება"

2018 წლის 14 სექტემბერს, ევროპის უნივერსიტეტში პირველი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით "ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმების ძიება" გაიმართა. კონფერენციის პლენარული სესიის ძირითადი საკითხი "ეკონომიკური მეცნიერების თეორიული და პარადიგმული საფუძვლები" იყო. ღონისძიება პირველი ქართული ეკონომიკური ჟურნალის გამოცემის 100 წლისთავს მიეძღვნა.

კონფერენციის პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ, ღონისძიების მონაწილეებმა ორ სექციაში, შემდეგ საკითხებზე იმუშავეს:

- ეკონომიკური მეცნიერება და მისი სწავლება, მაკროეკონომიკა და ინსტიტუციური ეკონომიკა - სექციის ხელმძღვანელი: ელგუჯა მექვაბიშვილი (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი);
- ცოდნის ეკონომიკა, ტექნოლოგიები, სამეწარმეო საქმიანობა, გლობალიზაციის გამოწვევები - სექციის ხელმძღვანელი: გივი ბედიანაშვილი (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი).

სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, თსუ - პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგების ფაკულტეტი - გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტი - ჟურნალი "გლობალიზაცია და ბიზნესი".

საერთაშორისო კონფერენცია "მართლმსაჯულების აქტუალური პრობლემები"

2018 წლის 17 მაისს, ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზებით, კონფერენცია სახელწოდებით "მართლმსაჯულების აქტუალური პრობლემები" გაიმართა. ღონისძიება "სამართლის საერთაშორისო კვირეულის" ფარგლებში ჩატარდა და მასში მონაწილეობა მიიღეს აშშ-ს მოსამართლეებმა, საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგნელებმა და სამართლის პრაქტიკოსებმა. კონფერენციაზე საუბარი შეეხო საქართველოს სამართლებრივ სისტემას, მოხდა პარალელების გავლება აშშ-სა და საქართველოს სასამართლო პრაქტიკებს შორის, ხაზი გაესვა ქართული მართლმსაჯულების მიღწევებსა და გამოწვევებს.

ღონისძიებას საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის უფროსი, ირაკლი ნადარეიშვილიც ესწრებოდა. მან აღნიშნა, რომ კონფერენციის ფარგლებში გამოიკვეთა თუ როგორ მოქმედებს და რას ეყრდნობა ამერიკული მართლმსაჯულება:
"მათი ხედვები, ანალიზი, პრაქტიკული გამოცდილება თუ მორგებული იქნება ქართულ სამართლებრივ სივრცეს, შემდგომში შესაძლებელი იქნება გამოყენებული იყოს უშუალოდ პრაქტიკაში".
ამერიკელმა მოსამართლემ, ჯეკ რაისმა კი ხაზი გაუსვა სასამრთლო ადმინისტრაციის, პროკურორების, მოსამართლეებისა და ადვოკატების მიერ მოქალაქეების სათანადო მომსახურების მნიშვნელობას. მისი თქმით, მთავარია, რომ მოქალაქეებმა თავი დაცულად იგრძნონ.

ევროპის უნივერსიტეტის მოწვევით, აშშ-ს სასამართლო კორპუსის წარმომადგენლები თბილისში ერთი კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში, 15 მაისს, მათ შეხვედრები გამართეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავჯდომარესთან, საქართველოს მთავარ პროკურორთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანსა და საბჭოს წევრებთან, ასევე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრთან. გარდა ამისა, 16 მაისს, აშშ-დან მოწვეულმა მოსამართლეებმა მასტერკლასი გამართეს, მათ აშშ-ს გამოცდილება გაუზიარეს ქართველი სამართალმცოდნეების, არასამთავრობო და სამთავრობო უწყებების წარმომადგნელებისა და სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის.

საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია

2018 წლის 15 ივნისს, ევროპის უნივერსიტეტში, ფაკულტეტებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ორგანიზებით, ჩატარდა საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია, რომელშიც ვიდეოკონფერენციის ფორმატის სახით მონაწილეობა მიიღეს პარტნიორი დობროვა გორნიცას უნივერსიტეტის (პოლონეთი), ევროპის უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

კონფერენციის ფარგლებში, ბიზნესის, ფინანსების, ტურიზმის, მედიცინის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლის პროგრამის სტუდენტები სხვადასხვა აქტუალურ საკითხთან დაკავშირებული მოხსნებებით წარსდგნენ. კონფერენციის გამომსვლელებს გადაეცათ მონაწილეობის სერტიფიკატი.

ასევე გამოვლინდნენ საუკეთესო მოხსენებების ავტორები:

- I ადგილი - ნინო ოვაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი "ჭარბვალიანობა და მასთან ბრძოლის მიმდინარე სტრატეგია საქართველოში.
- II ადგილი- ანა გვარამია, ევროპის უნივერსიტეტი - "გარი მარკოვიცის პორტფელური თეორია და ფინანსური აქტივების შემოსავლიანობის შეფასების მოდელი".
- III ადგილი- ვენკატა ნაგა მეღანა სარაბუ, ევროპის უნივერსიტეტი - "პირველი ტიპის დიაბეტი ბავშვობისა და მოზრდილობის ასაკში".

  საუკეთესო მოხსენებების ავტორებს გადაეცათ სერტიფიკატები და ფულადი ჯილდო.

მეხუთე უნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები“.

ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის, ტურიზმის ადმინისტრირების სპეციალობის სტუდენტებმა მონაწილება მიიღეს სტუდენტთა მეხუთე საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში - „საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები“. ღონისძიება სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2018 წლის 24 მაისს ჩატარდა. ევროპის უნივერსიტეტიდან კონფერენციაში მონაწილეობდნენ: ლიკა ვარდოსანიძე, ნანა ბუცხრიკიძე და სოფო მეტრეველი. კონფერენციის დასასრულს, სტუდენტებისთვის მოეწყო ტური უფლისციხის არქიტექტორულ მუზეუმ-ნაკრძალში.

ინტერნაციონალიზაცია

ევროპის უნივერსიტეტის პარტნიორები

ევროპის უნივერსიტეტის პარტნიორები

WILLIAM DAVIDSON INSTITUTE AT THE UNIVERSITY OF MICHIGAN

უ.დევიდსონის ინსტიტუტი ჩიკაგოს უნივერსიტეტში(აშშ)

WSB University

დობროვა გორნიცას უნივერსიტეტი (პოლონეთი)

WSB Universities

ბიზნესის უმაღლესი სკოლა ვროცლავში(პოლონეთი)

NATIONAL AVIATION UNIVERSITY

ეროვნული საავიაციო უნივერსიტეტი(უკრაინა)

დაუგავპილსის უნივერსიტეტი(ლატვია)

ბ.პრუსის სახელობის ვარშავის უმაღლესი ჰუმანიტარული სკოლა(უკრაინა)

ULBS

ლუსიან ბლაგას სახელობის სიბუს უნივერსიტეტი(რუმინეთი)

CHERNIHIV NATIONAL UNIVERSITY OF TECHNOLOGY

ჩერნიჰივის ტექნოლოგიების ეროვნული უნივერსიტეტი(უკრაინა)

ЧЕРКАСЬКИЙ НАЦІОНАЛЬНИЙ УНІВЕРСИТЕТ імені Богдана Хмельницького

ბოგდან ხმელნიცკის სახელობის ჩერკასის ნაციონალური უნივერსიტეტი (უკრაინა)

East European University
Prestigious european education

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (უკრაინა)

江西机械涉外经贸职业学院
Jiangxi Fengxin Professional College Of Foreign Economy & Trade

ფენგლინის კოლეჯი (ჩინეთი)

UNIWERSYTET PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNY W SIEDLCACH

სიდლიცას უნივერსიტეტი (პოლონეთი)

ВНТУ

ვინიცას ტექნიკური უნივერსიტეტი (უკრაინა)

VYTAUTO DIDŽIOJO UNIVERSITETO ŽEMĖS ŪKIO AKADEMIJA

ალექსანდრე სტულგინსკის უნივერსიტეტი(ლიტვა)

WEST KAZAKHSTAN Marat Ospanov MEDICAL UNIVERSITY

დასავლეთ ყაზახეთის მარატ ოსპანოვის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

International Center
Gordon Academic College

გორდონის აკადემიური განათლების კოლეჯი (ისრაელი)

KOREA UNIVERSITY

კორეის უნივერსიტეტი (სამხრეთ კორეა)

თანამშრომლობის გაღრმავება ევროპულ უნივერსიტეტებთან

2018 წლის 25 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით, ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი ლაშა ჩახვაძე ერაზმუს+ პროგრამასთან და ორმხრივ ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებით, სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა სიდლიცას სახელმწიფო უნივერსიტეტში, დობროვა გორნიცას უნივერსიტეტსა და ვროცლავის უნივერსიტეტში. აღნიშნულ პოლონურ უნივერსიტეტებთან უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ორმხრივი და ერაზმუს + ფარგლებში თანამშრომლობის ხელშეკრულებები.

სიდლიცას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და დობროვა გორნიცას უნივერსიტეტში უკვე მოხდა პერსონალის გაცვლა ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში. ასევე უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტუდენტი სწავლობს დობროვა გორნიცას უნივერსიტეტში ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში. ამ უკანასკნელთან ასევე მიმდინარეობს მუშაობა მეორე ევროპულ დიპლომთან დაკავშირებით.

ევროპის უნივერსიტეტი ერაზმუს+ გაცვლით პროგრამაში

2018 წელს ევროპის უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამის (K1) მიმართულებით.

2018 წლის 7-11 დეკემბერს, ევროპის უნივერსიტეტის ლექტორმა ქუჯი ბიქიამ ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში ლექციები ჩაატარა პარტნიორ დობროვა გორნიცას უნივერსიტეტში (პოლონეთი) ეკონომიკაში.

მანამდე, 2018 წლის 26-30 ნოემბერს, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორმა, თორნიკე ხოშტარიამ, ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ლექციები ჩაატარა სიდლიცას სახელმწიფო უნივერსიტეტში (პოლონეთი) მარკეტინგის მიმართულებით.

ორივე უნივერსიტეტთან ევროპის უნივერსიტეტს რამდენიმეწლიანი ინსტიტუციური ხელშეკრულება აქვს ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში, რაც მომავალშიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის წარმომადგენლების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას.

ევროპის უნივერსიტეტის პროფესორები ჰარვარდის უნივერსიტეტში

2018 წლის 8-12 დეკემბერს, ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორები გოჩა თუთბერიძე და ამავე ფაკულტეტის დეკანი თორნიკე ხოშტარია იმყოდებოდნენ ჰარვარდის უნივერსიტეტში, ჰარვარდის სასწავლო კურსის „კონკურენტუნარიანობის მიკროეკონომიკა“ გავლის მიზნით. აღნიშნული კურსის გავლა პროფესორებს საშუალებას აძლევს ის ევროპის უნივერსიტეტში დანერგონ და შესაბამისი სასწავლო მასალები სასწავლო პროცესსა და კვლევაში გამოიყენონ.

გარდა ამისა, 2018 წელს ევროპის უნივერსიტეტი ჰარვარდის ბიზნესის სკოლის კონკურენციისა და სტრატეგიის ინსტიტუტის (MOC) აფილირებული წევრი გახდა, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს ჰარვარდის სასწავლო მასალები და მეთოდოლოგია გამოიყენოს.
MOC აფილირებული ქსელი 2002 წელს, ორ აფილირებულ ინსტიტუტთან ერთად - INCAE (ნიკარაგუა) და სტოქჰოლმის ეკონომიკის სკოლა (ლატვიაში) შეიქმნა. ამ ეტაპზე ქსელი მოიცავს 67 ქვეყნიდან ასზე მეტ უნივერსიტეტს. ბოლო ათწლეულის მანძილზე MOC-ის აფილირებულმა უნივერსიტეტებმა 64 000 სტუდენტს 1838 კურსი შესთავაზეს.

ევროპის უნივერსიტეტი

პრაღაში გამართულ ევროპის ბიოქიმიკოსთა საზოგადოებების ასოციაციის 43-ე ყოველწლიურ კონგრესზე

2018 წლის 7-12 ივლისს ჩეხეთში, ქალაქ პრაღაში, გაიმართა ევროპის ბიოქიმიკოსთა საზოგადოებების ასოციაციის (FEBS) 43-ე ყოველწლიური კონგრესი. აღნიშნული კონგრესი ერთერთი ყველაზე მასშტაბური ღონისძიებაა სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით. წელს კონგრესში მონაწილეობდა ევროპის, ამერიკის და აზიის ქვეყნების წამყვანი უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო კვლევითი ცენტრების 2000-მდე წარმომადგენელი. მათ შორის ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორები - ნათია ჯოჯუა და ოლია რჩეულიშვილი, რომლებმაც ევროპის უნივერსიტეტის სახელით კონგრესზე წარადგინეს პოსტერული მოხსენებები.



ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტი გაცვლითი პროგრამით ლატვიაში

2018 წლის 6 სექტემბერს, ევროპის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სტუდენტი, **ნათია გელაშვილი**, ლატვიის დავგაპილსის უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის მონაწილე გახდა. ევროპის უნივერსიტეტსა და ლატვიის დავგაპილსის უნივერსიტეტის ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში, ნათია გელაშვილი, როგორც კარგი აკადემიური მოსწრებისა და გასაუბრების დროს საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტი, ევროპის უნივერსიტეტმა კონკურსის წესით შეარჩია, რის შედეგადაც 2018-2019 წლის შემოდგომის სემესტრში ის ევროპაში გააგრძელებს სწავლას.

სასწავლო სტიპენდიის ფარგლებში (4500 ლარი), ევროპის უნივერსიტეტმა კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტს მგზავრობის, ცხოვრებისა და კვების ხარჯები დაუფინანსა. ლატვიაში სწავლის განმავლობაში სტუდენტს ევროპის უნივერსიტეტში აკადემიური სტატუსი არ შეუწყდება. ამასთან, ევროპის უნივერსიტეტისგან მას მიეცა შესაძლებლობა საქართველოში გადასახდელი სწავლის საფასური ლატვიის უნივერსიტეტში სწავლის საფასურის დასაფარად მიემართა, ლატვიური მხარის მიერ კი აღნიშნული თანხა განახევრდა (სემესტრში 600 ევრო).

დავგაპილსის უნივერსიტეტი, ლატვიაში რეიტინგით მეხუთე სახელმწიფო უნივერსიტეტია და სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

ევროპის უნივერსიტეტი მომავალშიც შესთავაზებს ჩვენს სტუდენტებს, მსგავსი ან განსხვავებული პირობებით, პარტნიორ უნივერსიტეტებში სწავლის შესაძლებლობებს.

ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტი გაცვლითი პროგრამით პოლონეთში

გიორგი ფარსადანიშვილი

აგვისტოში EU-ს საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურმა გამოაცხადა კონკურსი პოლონეთში, დობროვა გორნიცას უნივერსიტეტში გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, რომლის გრანტი შეადგენდა 5000 ლარს. აღნიშნულმა უნივერსიტეტმა გიორგის საშუალება მისცა თეორიული ცოდნის მიღების გარდა ესარგებლა უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ჰაბითა თუ პრაქტიკული ცოდნის მისაღებად განკუთვნილი საშუალებებით. სტუდენტი აღნიშნავს, რომ იქ გატარებული პერიოდის განმავლობაში მან შეიძინა მრავალი მეგობარი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და მათთან ერთად იმოგზაურა ევროპის გარშემო ,რასაც დიდ გამოცდილებად და დაძლეულ გამოწვევებად მიიჩნევს.

ევროპის
უნივერსიტეტი

მოწვეული სტუმრები

ქართველი სტუდენტებისთვის ჩატარდა მასტერკლასი ამერიკელი მოსამართლეების მონაწილეობით

მასტერკლასში აშშ-დან სპეციალურად მოწვეული მოსამართლეები მონაწილეობდნენ. ამერიკელმა მოსამართლეებმა თავიანთი ქვეყნის გამოცდილება გაუზიარეს ქართველ სტუდენტებს. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებმა, აშშ-ის საელჩოსა და საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა და ასევე სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

კაუპო კანდი

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტი ევროპის უნივერსიტეტს მეორედ ეწვია.
2018 წლის 11-16 ივნისს, ევროპის უნივერსიტეტში ჩატარდა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტის მეორე გასვლითი ტრენინგ-კურსი საერთაშორისო სი ხლის სამართალში. ღონისძიება საზეიმოდ გახსნა საქართველოში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ოფისის ხელმძღვანელმა – კაუპო კანდიმ. კურსის თანადამფინანსებლები ევროპის უნივერსიტეტთან ერთად იყვნენ საფრანგეთის საელჩო და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ოფისი საქართველოში. პროექტი მიზნად ისახავდა მონაწილეთა ცოდნის გაღრმავებას საერთაშორისო სისხლის სამართლის მიმართულებით.

ნენსი სკანელი

2018 წლის 29 ივნისს, ჩიკაგოს უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა - ნენსი სკანელმა სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს გადასცა სერტიფიკატები და ილინოისის უნივერსიტეტის ფინანსური წიგნიერების ელექტრონული სამკერდე ნიშნები (Financial literacy badge). აღნიშნულ სამკერდე ნიშნებზე შენახული ინფორმაცია ილინოისის უნივერსიტეტის ბაზაში განთავსდება, მასზე წვდომა კი მსხვილ ამერიკულ კომპანიებს ექნებათ. ამ გზით, სტუდენტებს საშუალება მიეცათ კონკურენტუნარიანები გახდნენ საერთაშორისო შრომით ბაზარზე.

ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ორგანიზებით, ნენსი სკანელის სასერტიფიკატო კურსი "შესავალი ფინანსებში" 5 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. პროექტში მონაწილეობას იღებდნენ, როგორც ევროპის უნივერსიტეტის, ისე სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. (folder-ში მოწვეულ სტუმრებშ მოიძიებ ნენსის ფოტოებს)

უილიამ ვატკინსი

სპეცკურსი ჩატარდა საერთაშორისო სისხლის სამართალსა და აშშ-ის საკონსტიტუციო სამართალში. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს, როგორც ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებმა, ასევე საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებმა.
კურსი ჩატარდა ინგლისურ ენაზე და ტესტრების შედეგად გაიცა ამერიკული სერთიფიკატი.

სამუელ ბერნალი

კალიფორნიის ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის პროფესორმა ევროპის უნივერსიტეტში ღია ლექცია წაიკითხა.

2018 წლის 12 ივლისს, ევროპის უნივერსიტეტში კალიფორნიის ლოს-ანჯელესის
უნივერსიტეტის (UCLA) პროფესორმა, მედიცინის დოქტორმა, სამუელ ბერნალმა გამართა საჯარო ლექცია თემაზე „ბიზნეს სამართალი და სამედიცინო მომსახურების ბაზარი". ღონისძიების შემდეგ თითოეულ სტუდენტს სერტიფიკატი გადაეცა.

მარკ სპეისერი

ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებმა და ქალაქ მაიამის მოსამართლემ იმიტირებული სასამართლო პროცესი გამართეს.

2018 წლის 28 აპრილს, ევროპის უნივერსიტეტს ქალაქ მაიამის (აშშ) სასამართლოს მოსამართლე მარკ სპეისერი ეწვია, რომელმაც ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სისხლის სამართლის პროცესში მასტერკლასი ჩაატარა. იმიტირებული პროცესი ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაიმართა. სასამართლო პროცესის სხდომის თავმჯდომარე მარკ სპესერი იყო, პროცესის მონაწილეები კი – ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები.

სტუდენტური ცხოვრება ევროპის უნივერსიტეტში

ევროპის უნივერსიტეტი

ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტური აქტივობები

2018 წლის 26 მარტს, ევროპის უნივერსიტეტის ინდოელმა სტუდენტებმა და ინდოეთის კონსულმა ჰინდის მსოფლიო დღე ერთად აღნიშნეს. ღონისძიების ფარგლებში უნივერსიტეტის სტუდენტებმა სხვადასხვა მუსიკალური ნომერი შეასრულეს, რომლის შემდეგაც საპატიო სტუმარს ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შენობა დაათვალიერებინეს.

მსოფლიო ჩემპიონატი პროგრამირებაში ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზებით

2018 წლის 1-3 დეკემბერს, ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზებით, გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალი პროგრამირებაში უმაღლეს სასწავლებლებს შორის და სამხრეთ კავსკასიის ღია ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს, უკრაინის, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის უნივერსიტეტების სტუდენტები იღებდნენ მონაწილეობას.
მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში მონაწილეობდა 8 გუნდი სომხეთიდან, 14 გუნდი აზრბაიჯანიდან და 23 გუნდი საქართველოდან. სამხრეთ კავკასიის ღია ჩემპიონატში კი მონაწილეობდა 1 გუნდი უკრაინიდან, 1 გუნდი რუსეთიდან, 2 გუნდი აზერბაიჯანიდან, 2 გუნდი სომხეთიდან და 15 გუნდი საქართველოდან.

მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში მეორე ხარისხის დიპლომი შავი ზღვის უნივერსიტეტის გუნდმა მოიპოვა და ფინალში გავიდა. მესამე ხარისხის დიპლომები მოიპოვეს სამმა გუნდმა საქართველოდან, ორმა გუნდმა სომხეთიდან, ერთმა გუნდმა კი აზერბაიჯანიდან.

სამხრეთ კავკასიის ღია ჩემპიონატის გამარჯვებული ხარკოვის რადიოელექტრონიკის უნივერსიტეტის გუნდი გახდა, მეორე ადგილზე შავი ზღვის უნივერსიტეტის გუნდი გავიდა; მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ადგილებზე თავისუფალი უნივერსიტეტის ორი გუნდი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთი გუნდი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთი გუნდი გავიდნენ.

პირადი პირველობა მოიპოვა ხარკოვის რადიოელექტრონიკის უნივერსიტეტის გუნდის წარმომადგენელმა - ანდრეი შანინმა, მეორე ადგილი კი - თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდის წარმომადგენელმა ვანო გამეზარდაშვილმა.

ღონისძიების დასკვნითი ნაწილი 2018 წლის 4 დეკემბერს გაიმართა. გამარჯვებულ გუნდებსა და მონაწილეებს შესაბამისი ჯილდოები გადაეცათ.

ევროპის უნივერსიტეტის ენებისა და კულტურის ცენტრის აქტივობა

ევროპის უნივერსიტეტის ენების ცენტრის ორგანიზებით, ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტები და ცენტრის მსმენელები სასწავლო-შემეცნებითი ტურით ალკალის უნივერსიტეტთან არსებულ ენების ცენტრში (ესპანეთი) იმყოფებოდნენ.

ევროპის უნივერსიტეტის ენების ცენტრსა და ესპანურ ცენტრ იბერიას ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე, ევროპის უნივერსიტეტში ესპანური ენის ცენტრის გახსნა დაიგეგმა, რომელშიც ლექციებს ალკალის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები წაიკითხავენ .

ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტები ვახუშტი მენაბდს საჯარო ლექციაზე

2018 წლის 23 მაისს, ევროპის უნივერსიტეტმა კონსტიტუციონალისტ, ვახუშტი მენაბდის საჯარო ლექციას უმასპინძლა, რომელმაც ისაუბრა თემაზე "როგორ უნდა წავიკითხოთ საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციური სისტემა". ღონისძიება საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართა.

შეხვედრაზე საუბარი ძირითადად შეეხო 1921 წელს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციას და იმას, თუ როგორ შეიძლება საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციური სისტემის წაკითხვა. აღნიშნული დოკუმენტის კონტექსტში, ისაუბრეს, სახელმწიფოს მოწყობის რა მოდელები განიხილებოდა მის მიღებამდე, რა გავლენა იქონია ამ დოკუმენტმა დღევანდელ სახელმწიფოებრიობასა და საქართველოს ამჟამინდელ კონსტიტუციაზე.

ღონისძიების მეორე ნაწილი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა: სტუდენტებმა სტუმართან ერთად ისაუბრეს სახელმწიფოს მოწყობის საპარლამენტო და საპრეზიდენტო მოდელებზე, პრეზიდენტის არჩევის წესსა და სხვ.

ვახუშტი მენაბდე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი საჯარო სამართლის მიმართულებით. არის კონსტიტუციური სამართლის შესახებ რამდენიმე კვლევისა და პუბლიკაციის ავტორი და თანაავტორი. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ყოფილი წევრი. 2010 წლიდან საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში კითხულობს საბაკალავრო და სამაგისტრო კურსებს კონსტიტუციურ სამართალში. ამავე პერიოდიდან მისი სამეცნიერო სტატიები რეგულარულად ქვეყნდება ქართულ და უცხოურ გამოცემებში.

რეკრეაცია

ევროპის უნივერსიტეტში არსებულმა მოლაშქრეთა კლუბმა და აქვე არსებულმა საერთაშორისო საუნივერსიტეტო ტურიზმის ფედერაციამ ორჯერ მიიღო მონაწილეობა რეგიონების განვითარების პროგრამაში ,,სოფლის შენებას რა უნდა“ . ჩატარდა ტურისტული რეკრეაციული გაწმენდითი სამუშაოები ლეჩხუმის რაიონის სოფელ ქორენისში. სტუდენტები გაეცნენ ახალგაზრდა წარმატებული ბიზნესმენი-ფერმერის საქმიანობას, კოოპერაციული ბიზნესის საწყისებს, დამფინანსებელ და ხელშემწყობ ორგანიზაციებს, პირად საქმიანობას და მიზნის მიღწევის მეთოდებს. ევროპის უნივერსიტეტის პროფესორებმა დ. ლოლუამ და მ. ალადაშვილმა ჩაატარეს ტრენინგი, თემებზე: ტურიზმის ბიზნესის როლის განსაზღვრა რეგიონების ეკონომიკის განვითარებაში; აგროტურიზმის როლი რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში და კადრების დასაქმება.

2018 წლის ოქტომბერში კომპანია Treepex Georgia - ს მხარდაჭერით ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ბორჯომის ტყე-პარკის აღდგენის აქციაში მიიღეს მონაწილეობა.

WINGS FOR LIFE WORLD RUN

2018 წლის 6 მაისს, ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და ადმინისტრაციის თანამშრომლებმა Wings for Life World Run-ში - მსოფლიოში ყველაზე მასშტაბურ საქველმოქმედო ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიება მსოფლიო სპორტის ისტორიაში უკვე მეხუთედ გაიმართა და მასში საქართველოს მასშტაბით სულ 7 000-მა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა. World Run ერთადერთი მარათონია, რომელიც არ ზღუდავს სარბენ დისტანციას და არ აქვს სტანდარტული ფინიშის ხაზი. საქველმოქმედო აქციიდან შემოსული თანხა სრულად გადაერიცხა Wings for Life-ის ფონდს, რომელიც ახორციელებს სამედიცინო და კლინიკურ კვლევებს ზურგის ტვინის დაზიანების სამკურნალოდ.

ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები

2018 წლის 24 ნოემბერს, ევროპის უნივერსიტეტში კურსდამთავრებულებთან შეხვედრა გაიმართა. ღონისძიების ძირითადი მიზანი იყო, სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის სამომავლო გეგმებისა და დასაქმების პერსპექტივებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება, ასევე სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში, დუალური დიპლომების განხორციელების შესაძლებლობების განხილვა.

ღონისძიების ფარგლებში, უნივერსიტეტის პრორექტორებმა - გოჩა თუთბერიძემ და ვახტანგ ქავთარაძემ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა - მაია ხურცილავამ, სამართლის ფაკულტეტის დეკანმა - იოსებ კელენჯერიძემ, დასაქმებისა და კარიერული განვითარების მენეჯერმა - ნათია ბაქრაძემ და სამართლის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ - კახაბერ გოშაძემ სტუდენტებს მაგისტრატურის საფეხურზე დუალური დიპლომების განხორციელების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ უამბეს. გარდა ამისა, საუბარი შეეხო კურსდამთავრებულების ტრენინგებში, დარგობრივ სემინარებსა და კონფერენციებში ჩართვასაც, ასევე მათ დასაქმებას ევროპის უნივერსიტეტის პრაქტიკის ცენტრებში. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა - მაია ხურცილავამ უნივერსიტეტის კითხვარების შევსებაში კურსდამთავრებულების ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. უნივერსიტეტის პრორექტორმა - გოჩა თუთბერიძემ კი უნივერსიტეტისთვის კურსდამთავრებულთა როლს გაუსვა ხაზი, ასევე, განმარტა დუალური დიპლომების მნიშვნელობა და სამომავლო შესაძლებლობები.

ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა ევროპის უნივერსიტეტის ბენდმა Fiction.

ევროპის უნივერსიტეტი

სპორტული და კულტურული ცხოვრება ევროპის უნივერსიტეტში

EU ფუტსალის გუნდი

2018 წელს ევროპის უნივერსიტეტის ფეხბურთის გუნდი პირველი ლიგის ფინალში მოხვდა.

EU მოცეკვავეთა გუნდი

ევროპის უნივერსიტეტს ყავს ბენდი, რომელიც უნივერსიტეტის თითოეული ღონისძიების მუსიკალურად გაფორმებაში მთელი 2018 წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული

EU ბენდი

მხიარულთა და საზრიანთა გუნდი

2018 წლის მხიარულთა და საზრიანთა ფესტივალზე, რომელსაც კურორტი საირმე მასპინძლობდა, ევროპის უნივერსიტეტის გუნდმა ,,უვიზო" ფესტივალის აღმოჩენის თასი, სერტიფიკატი და კურორტ საირმეში საგზური მოიპოვა.
ევროპის უნივერსიტეტს წარმოადგენდნენ სტუდენტები - ბენჯამინ ლომსაძე, ნიკა თაბუკაშვილი, ზუკა დანელია და ააშიშ გაჰლოტი. აღსანიშნავია, რომ სწორედ ინდოეთის მოქალაქე ააშიშ გაჰლოტის ფესტივალში მონაწილეობამ ღონისძიება საერთაშორისო ფესტივალად აქცია.

მხიარულთა და საზრიანთა ფესტივალი საირმეში უკვე მესამე წელია ტარდება. წელს ფესტივალში 15 გუნდი მონაწილეობდა. 3 თასიდან ერთ-ერთის მფლობელი კი ევროპის უნივერსიტეტის გუნდი ,,უვიზო" გახდა. ფესტივალის ფარგლებში, 3 დღის განმავლობაში სხვადასხვა ტიპის ლექცია, ტურნირი და გასართობი ღონისძიება გაიმართა

მერი ბანცაძე

მე ვარ მერი ბანცაძე, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი. ვფიქრობ, ჩემი უნივერსიტეტი ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტია. აქ ყველა პირობაა შექმნილი სტუდენტთა განვითარებისა და წინსვლისათვის. უნივერსიტეტს ყავს საუკეთესო ლექტორ-მასწავლებლები, აქვს კარგი ბიბლიოთეკა სახელმძღვანელო წიგნებითა და კომპიუტერებით აღჭურვილი. ვთვლი, რომ გავხდი უფრო ერუდირებული და ინტელექტუალური. ვარ ერთ-ერთი წარმატებული სტუდენტი, სტიპენტიადი. უნივერსიტეტის ხელშეწყობით ვიყავი სასწავლო პროგრამით, ენის შემსწავლელ ცენტრში იტალიაში, დავბრუნდი შესაბამისი სერთიფიკატით.

ევროპის აკადემიურ ცენტრსა და ევროპის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის შედეგად გავხდი პროექტის მონაწილე ,,იმიტირებული სისხლის სამართლის პროცესი თბილისსა და სტრასბურგში". ავიღე შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატი. უნივერსიტეტში ხშირად გვიტარდება ლექცია-სემინარები ევროპისა და ამერიკის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორ - მასწავლებლების მიერ და გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი სერთიფიკატები. აღებული მაქვს საერთაშორისო დონის რამდენიმე სერთიფიკატი. სწავლასთან ერთად ვარ აქტიურად დატვირთული სტუდენტური ცხოვრებით. ვარ ფაკულტეტის საბჭოს წევრი. ასევე ევროპის უნივერსიტეტში არსებული ,,სამართლის დახმარების ცენტრის" წევრი. მომანიჭეს 2018 წლის ჭეშმარიტი სტუდენტის ნომინაცია. ვარ სპორტით დაკავებული, კერძოდ ევროპის უნივერსიტეტის ქალთა ფრენბურთის გუნდის ,,ევროპელები" წევრი, რომელიც გახდა საქართველოს ჩემპიონი პირველ ლიგაში და გადავედით უმაღლეს ლიგაში.

გიორგი ლოთიშვილი

მე ვარ გიორგი ლოთიშვილი ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტი.

ორი წელია რაც დავიწყე და ვეღარ ვრჩერდები! ასე თუ დავახასიათებ ჩემს სტუდენტობას ევროპის უნივერსიტეტში - ადგილი, სადაც ჩარჩოებს ვერ ვგრძნობ და მაქვს შესაძლებლობა დავიკმაყოფილო ნებისმიერი ინტერესი ნებისმიერ მიმართულებაში. ჩემთვის დასაფასებელია ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაცია და თანამშრომლობის უნარი, რომელიც სტუდენტზეა ორიენტირებული.

მიხარია,რომ პირადი წვლილი მეც შემაქვს უნივერსიტეტის საქმიანობასა და სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნებაში:

უნივერსიტეტთან ხელშეკრულებით მედიცინის ფაკულტეტზე მონაწილეობას ვიღებ "OSCE"-ს პრაკტიკულ გამოცდებში სიმულაციურ პაციენტად, ვცდილობ გუნდთან ერთად სტუდენტებს შევუქმნა ის რეალური გარემო, რომელშიც მათ სამომავლოდ მოუწევთ მუშაობა.

ჩემი ერთ-ერთი ინტერესის სფეროა მუსიკალური ინსტრუმენტები, რითაც ვანვითარებ კარიერულ უნარებს და პოპულარიზაციას ვუწევ უნივერსიტეტს, როგორც საქართველოში ისე მის გარეთ, ინდივიდუალურად ან ბენდთან ერთად.

ასევე ინტერესის სფეროს უცხო ენები წარმოადგენს, რომელთა დაუფლებაში უნივერსიტეტი და მისი ენებისა და კულტურის ცენტრი მეხმარება. გავიარე ინგლისური ენის საერთაშორისო ტრენინგები და სერთიფიცირება იტალიასა და ბაქოში. მიღებულმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ კი უფრო საინტერესო გახადა საკუთარი სპეციალობა.

ახლახანს დავიწყე ესპანურის შესწავლა და ვარ დამხმარე ასისტენტი აღნიშნულ ცენტრში სადაც გუნდთან ერთად და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით ვანხორციელებთ საგანმანათლებლო და კულტურულ პროექტს, რომლის მთავარი მიზანია ინგლისური ენისა და ქართული კულტურის პოპულარიზაცია უცხოელებისათვის.

მეგი მეტივიშვილი

ევროპის უნივერსიტეტის, თვითმმართველობის პრეზიდენტი. ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი.

რატომ ევროპის უნივერსიტეტი?
პირველი და მნიშვნელოვანი იყო ფასი, რამაც ჩემი ყურადღება მიიქცია და არჩევანის გაკეთებისას გადამწყვეტი როლი ითამაშა, თუმცა სწავლა რომ დაიწყო, რეალობამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. გავიცანი ყველა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე და პირველივე დღეს ჩავთვალე, რომ ასეთ ხალხთან ერთად ყველაფრის გაკეთება შემეძლო. იმ წელსვე მოვახერხეთ თვითმმართველობის ჩამოყალიბება და ჩავატარეთ არჩევნები. რაც დრო გადიოდა ვხვდებოდი, რომ ვიღებდი ისეთ ცოდნას და გამოცდილებას (არა მხოლოდ ლექციებით) რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა ჩემი კარიერული წინსვლისთვის.. კონკრეტულადაც შემიძლია გითხრათ, მაგალითად: უნივერსიტეტმა საშუალება მომცა გამევლო ,, IT Project Management" კურსები, სრულიად უფასოდ. აგრეთვე, მომცა საშუალება შევხვედროდი და კითხვები დამესვა უამრავი ცნობილი სპიკერისთვის. მათ შორის იყვნენ: ალექსანდრე ჯეჯელავა, დავით ტურაშვილი, გელა ჩარკვიანი, ლევან ბერძენიშვილი და სხვები. სია გრძელია. უნივერსტეტში არსებული ინგლისური ცენტრის საშუალებით წავედით იტალიაში, სადაც გავიარეთ ინგლისური ენის ტრენინგები და მივიღეთ საერთაშორისო სერთიფიკატები. ასევე ინგლისური ენის უკეთ შესწავლის მიზნით, საშუალება მქონდა გამევლო საკმაოდ ბევრი ტრენინგ კურსი. ყველას ვერ გავიხსენებ.
ორიოდე სიტყვას სტუდენტურ ცხოვრებაზეც გეტყვით, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ოთხი წელია ვმღერი ევროპის უნივერსიტეტის სიმღერის გუნდში და ამ ბოლო დროს ბენდის წევრიც გავხდი. ასევე, აქტიურად ვიყავი დაკავებული ამავე უნივერსიტეტის თეატრალურ დასში. ამჟამად ვთამაშობ ფრენბურთს და ვარ ევროპის უნივერსიტეტის ფრენბურთის გუნდის კაპიტანი. ძალიან დიდ წარმატებას მივაღწიეთ ახალი შექმნილი გუნდით, პირველ ლიგაში პირველი ადგილი დავიკავეთ, რამაც განაპირობა უმაღლეს ლიგაში გადასვლა. მინდა აღვნიშნო, რომ ევროპის უივერსიტეტი საშუალებას გაძლევს იყო კონკურენტუნარიანი და მოთხოვნადი შენს ბაზარზე და ამის უთქმელობაც არ შეიძლება ამ უნივერსიტეტმა საშუალება მომცა მემუშავა ადმინისტრაციულ სტრუქტურაში, სადაც დიდი გამოცდილება მივიღე.
მოკლედ, ძალიან გამიგრძელდა საუბარი, უამრავი რამეს თქმა შემიძლია. მხოლოდ იმას დავამატებ, რომ ევროპის უნივერსიტეტი მაძლევს ცოდნას და გამოცდილებას, რომელიც მეხმარება შევქმნა ჩემი მომავალი.
P.S. განათლება ქმნის მომავალს

ზუკა დანელია

ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოიების ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტში ჩავირიცხე ძალიან გამეხარდა, მოკლედ და კონკრეტულად რომ ვთქვა პირველივე კურსიდან დავიწყე მონდომებულად სწავლა, ევროპის უნივერსიტეტში და არამხოლოდ სწავლა არამედ ძალიან აქტიური სტუდენტური ცხოვრებით დავკავდი, პირველივე კურსზე ჩამოვაყალიბე მხიარულთა და საზრიანთა გუნდი და ვითამაშე საქართველოს ჩემპიონატზე, უნივერსიტეტმა ნაწილობრივ დამიფარა ორ კვირიანი ინგლისური კურსის სწავლის თანხა ბერლინში. ძალიან ბევრ კონცერტში მიმიღია მონაწილეობა. ერთ-ერთი იყო საქველმოქმედო კონცერტი რომელიც თელავში ჩატარდა, იყო ასევე ტრენინგი ევროპის უნივერსიტეტში, რომელსაც ინოვაციების ცენტრი ატარებდა "IT " პროექტ მართვა, ეს კურსიც წარმატებით დავასრულე და სერთიფიკატიც ავიღე. ენებისა და კულტურის ცენტრთან ერთად ვიყავი ტრენინგებზე ბაკურიანში, რომელიც წარმატებით დავასრულე. ისევ ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზებით ვიყავი იტალიაში ინგლისური ენის ტრენინგებზე. ევროპის უნივერსიტეტის წვეულებაზე Gatsby Party -ზე (2018 წელი) გავხდი ევროპის უნივერსიტეტის Gatsby, მაგრამ ვფიქობ ჩემი ყველაზე დიდი წარმატება მოვიდა მესამე, კურსზე როდესაც ჩემს მხიარულ და საზრიანთა გუნდთან ერთად დიდ წარმატებას მივაღწიეთ რისთვისაც დიდი მადლობა მათ, გავხდით საირმის ფესტივალის გუნდი აღმოჩენა (2018 წელი).
საქართველოში დაიწყო ახალი პროექტი სიცილის ლიგა, რომელსაც კასტელო მარემ უმასპინძლა მანდაც. ძალიან დიდი წარმატებით გამოვიდა გუნდი და მენტორი ფეხზე წამოგვიდგა, მალე მომდევნო თამაშში ვეცდებით დიდ წარმატებას მივაღწიოთ.
ვფიქრობ ევროპის უნივერსიტეტი მაქსიმალურს აკეთებს იმისთვის, რომ სტუდენტს შეუქმნას სტუდენტური ცხოვრება და დაანახოს ის მას. წარმატების მიღწევაში დამეხმარება უნივერსიტეტში მიღებული განათლება და სტუდენტური ცხოვრება.

SHIVANGI SINGH

I am Shivangi Singh, 4th year student of Faculty of Medicine. I am studying in European University, Georgia. First of all I will like to bring in light about the success of my university, our university have number of branches and covers different faculties. I am a medical student so I will talk about the medical program provided to us by university. There are more than 1000 international students in our university from India (maximum), Turkey, Azerbaijan, Iran, Iraq etc. But we, students never felt we are from another country. The environment in our university is so cooperative and friendly; teachers are so supportive and encouraging. University has its tie ups with number of hospitals which help us to practice our respective field and explore more. I am glad we students get so much exposure offered by our university.

I got chance to go to Turkey for clerkship program in Ege University, Izmir. Also, I went to Baku, Azerbaijan for international English conference, this helps me to gain confidence and gaining trusts in me. I was the part of OSCE program held in our university by a Turkish professor and we learnt how to do diagnosis and treatment on live patients. University provided us with smart classes in our field by well known personalities, who had gained much respect in their work. Every year International Student Conference is organized in our university and all the faculties students participate and get certificates and prizes.

As an Indian, I really miss my festivals every year but our university always surprises us by organizing different cultural programs and we all enjoy a lot. Basically, not only in studies but in extracurricular activities also excels our university. I am really happy to be a part of this university.

Lastly, I would like to say that what I am today is because of my teachers and university. I learn, explore, and grow here. As a responsible student I always make my university proud by my excellence.



თემო გოგრიჭიანი

მე ვარ თემო გოგრიჭიანი საერთაშორისო ურთიერთობების მეორე კურსის სტუდენტი. ევროპის უნივერსიტეტის დახმარებით პირველი კურსის ბოლოს ჩავაბარე ინგლისური ენის სასაუბრო გამოცდა და წავედი ბერლინში. უნივერსიტეტის ხელშეწყობით სტუდენტებმა ჩამოვაყალიბეთ ბენდი, სადაც მეორე წელია ვმღერი და ვაფორმებთ უნივერსიტეტის ივენთებს ჩემს მეგობრებთან ერთად. როგორც აქტიური სტუდენტი ყოველთვის ჩართული ვარ ჩემთვის საინტერესო და გასართობ აქტივობებში რომელსაც, უნივერსიტეტი ხშირად გვთავაზობს.

Shweta Tilante

I am Shweta Tilante, student of the faculty of medicine at European university. Before taking admission in this university I was in dilemma: weather my decision of taking admission in this university was right and will this university meet my expectations. Now I can proudly say that European university is beyond my expectations! In my opinion European university provides all possible facilities and opportunities for their students to help them achieve their future goals and fulfil their passion. With the support of my teachers and my university, I took part in various activities both inside and outside the university. Using my knowledge and implementing my creativity I managed to win the quiz competition and article writing competition held on International yoga day which was organized by the Embassy of India. For increasing knowledge and motivation of students, our university organises various conferences, workshops, short term module courses and other academic activities. As an active student I took part in the 4th academic student conference, workshop on OSCE [planning and implementation], successfully completed a module on {introduction to molecular medicine} by Dr.Samuel Bernal. Our university manages the schedule for their students in such way that they have time to participate in activities and conferences outside the university also. As a passive participant I participated in many international conferences and competitions like the World's elite surgeons conference and public lecture by Dr.William V.Braun and Dr.W Konrad Karcz at Ilia State University, an essay competition organised by (Georgian Society of Medical genetics and Epigenetics) topic-Biomarkers in the diagnosis of rare disease, Participated in the second International Congress of Georgian Association of Oncological Urology. For all of these activities I was awarded certificates. I am an active member of organizations such as the Georgian medical students association(GMSA), Georgian society of medical genetics and epigenetics (GSMGE), The Community of Young Scientists Club (Future Belongs To Genetics), Global health workforce network youth hub at WHO. i would like to conclude my statement with a quote by Marva Collins which says "Success doesn't come to you, you go to it.

დავით გურგენიძე

გამარჯობა, მე ვარ დავით გურგენიძე, ევროპის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი და უნივერსიტეტის ფუტსალის გუნდის კაპიტანი. პირველი და უმნიშვნელოვანესი , რამაც ჩემი ყურადღება მიიქცია იყო უნივერსიტეტის განვითარება მისი დაარსებიდან იმ დღემდე, როცა არჩევანი ევროპულ განათლებაზე გავაკეთე. რეალობამ მოლოდინებს გადააჭარბა და მოსვლის პირველივე დღიდან თავი დიდი ოჯახის წევრად ვიგრძენი. გავიცანი აკადემიური პერსონალი და ყველა ვისაც კი შეხება ქონდა უნივერსიტეტთან. მათთან მეგობრული ურთიერთობა ჩამომიყალიბდა,რაც დამეხმარა პიროვნულ განვითარებაში. ყოველი უნივერსიტეტშ გატარებული დრე ჩემთვის ახლის მომცემი და საინტერესოა. იმართება შეხვედრები სხადასხვა ცნობილ სპიკერებთან. ეს ყველაფერი კარიერულ წინსვლაში მეხმარება და გამოცდილებას მაძლევს. რაც სეეხება EU-ს ფუტსლის გუნდს, ჩემთვის უბრალო გუნდზე მეტია. ეს ჩემი დიდი ოჯახია. გუნდს ცამოყალიბებიდან დრმდე, ყველა გუნდის წევრი ერთად მოვდივართ და როგრც თამაშზე ვდგავართ ერტად, როგორც ერთმანეთის შეცდომებს ვასწორებტ, როგორც ერთმანეტს ვამხნევებთ და გამარჯვებით თუ მარცხით გამოწვეულ ემოციებს განვიცდით, ცხოვრებაშიც ასეა. სწორედ ამიტომ, მოვა დრო, როდესაც ჩვენი გუნდი უმაღლეს მწვერვალებს დაიბყრობს.

უნივერსტეტში მოსვლა ყოველთვის მიხარია, რადგან მეგობრული, კომფორტული და სიყვარლით აღსავსე გარემო მხვდება, ევროპის უნივერსიტეტი მაძლევს პროფესიულ განათლებას და იმის საშუალებას, რომ მივიღო გამოცდილება. ყოველ ფეხის ნაბიჯზე მხვდება სხვადასხვა სატიუირებები და კურსები, რაც მეხმარება გავხდე პროფესიონალი ფსიქოლოგი. უნივერსიტეტმა მომცა საშუალება ვისწავლო საყვარელი საქმე, ვითამაშ ჩემი საყვარელი სპორტი და ვიყო საუკეთესო გუნდის კაპიტანი. ესდიდ ბედნიერებას მანიჭებს და მთელი ცხოვრების მანზილზე გამყვება სტუდენტობისას განცდილი ემოციები. სულ სიამაყით ვამბობ, რომ ევროპის უნივერსიტეტში ვსწავლობ. თამამად სემიძლია ნებისმიერ ადამიანს ვურჩიო ჩვენ უნივერსიტეტში ჩაბარება და ამისთის ბევრი მიზეზი არსებობს.



ნათია გელაშვილი

მოგესალმებით, მე ვარ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტი ნათია გელაშვილი. მინდა გესაუბროთ იმ შესაძლებლობზე რასაც ევროპის უნივერსიტეტი თავაზობს სტუდენტებს.
ძირითადად მინდა შევეხო 2018 წელს. ჩემთვის, როგორც დამამთავრებელი კურსის სტუდენტისთვის საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა მეშვიდე სემესტრი. ევროპის უნივერსიტეტს აქვს შეთანხმება ლატვიის დაუგავპილსის უნივერსიტეტთან, ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ზაფხულის პერიოდში, ინგლისურ და რუსულ ენაზე გასაუბრების საფუძველზე სწავლა გაეგრძელებინათ ლატვიაში. გასაუბრება წარმატებული აღმოჩნდა.
ჩემთვის, როგორც ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტისთვის დიდი შანსი იყო ჩემი ცოდნის გასაღრმავებლად. აღსანიშნავია, რომ ევროპის უნივერსიტეტმა დააფინანსა ცხოვრებისა და გზის ხარჯები.
სექტემბერში გავემგზავრე ლატვიაში და მომდევნო 1 სემესტრის განმავლობაში განვაგრძე სწავლა. ეს მართლაც რომ დიდი გამოცდილება იყო ჩემთვის. ვისწავლე ბევრი ახალი რამ, გავიუმჯობესე რუსული ენის ცოდნის დონე. ვმონაწილეობდი უნივერსიტეტის სხვადასხვა აქტივობებში. შევიძინე უამრავი მეგობარი და ასევე ცხოვრებისეული გამოცდილებაც. სემესტრი წარმატებით დავასრულე და დეკემბრის თვეში დავბრუნდი საქართველოში.
მინდა სტუდენტებს ვურჩიო, რომ მიიღონ მონაწილეობა მსგავს პროექტებში, რომლებსაც ევროპის უნივერსიტეტი გვთავაზობს. ეს არის დიდი შანსი თითოეული სტუდენტისთვის გაიღრმავოს ცოდნა ამა თუ იმ სფეროში.
გარდა ამ პროგრამისა მინდა შევეხო კონფერენციებს, რომლებიც ყოველწლიურად ტარდება უნივერსიტეტში. პირველივე კურსიდან აქტიურად ვიღებ მონაწილეობას ყველა კონფერენციაში და უმეტესად გამარჯვებულის სტატუსი მენიჭება. დიდი სტიმულია იღებდე დადებით შეფასებებს კვალიფიციური პროფესორ–მასწავლებლებისგან. აქვე აღვნიშნავ სხვადასხვა ტრენინგებსა და კურსებს, რომლებსაც მოწვეული კადრები ატარებენ. მაგალითად რამდენჯერმე დავესწარი ამერიკელი მოსამართლის ლექციებს სხვადასხვა თემებზე, რაც ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის.

და ბოლოს, ევროპის უნივერსიტეტს წარჩინებული სტუდენტებისთვის მეტი სტიმულის მისაცემად და შრომის დასაფასებლად, დაწესებული აქვს გარკვეული თანხის რაოდენობა სტიპენდიის სახით. ერთ–ერთი ამ სტუდენტთაგანი მეც აღმოვჩნდი და ლატვიაში გამგზავრებამდე გავხდი უნივერსიტეტის სტიპენდიანტი.
ევროპის უნივერსიტეტი გვაძლევს შესაძლებლობას მივიღოთ ევროპული განათლება საქართველოში.

Ragini Kansara

Hello, my name is Ragini. I am a medical student studying 4th year in European university, Tbilisi Georgia. As I am going to complete my course of MD next year I would like to say that it is one of the best universities. One of the major things that I like to mention here is that our university is not all about lectures and exams, there are many other activities in which we participate and get more close to our goal. There was an OSCE program, in which I participated and through which I possessed good knowledge about how a doctor or civilized/educated person react to an emergency (if somebody collapse suddenly) whether you are outside or wherever. In every two month university organize public lecture in university i.e. stem cell reprograming – potential application for brain repair by lecturer-Zaal kokaia. There was another public lecture on molecular study. Every year there a conference held by our university which a very good chance to study thoroughly about some specific topic with the help of teachers of course. There is scholarship program which is a very good step to encourage students to study well. On every New Year or starting of new session, a good party is also organized by our university which freshens up students. Sport department is also well organized to keep our physically activity in a proper manner. Lecturer and administration staffs are very helpful. There are also international exchange programs being organized between European university and EGE university turkey and there is a Hungary exchange program so on. In a nutshell it is an important period of life where we achieve our goal and I am blessed to be a part of this university.

ბეჟან ლომსაძე

მოგესალმებით!
მე ვარ ბეჟანი ლომსაძე ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი. ევროპის უნივერსიტეტში ვიღებ ჩემი სპეციალობისთვის საჭირო ცოდნას, რაზეც დადებითი გავლენა აქვს ლექტორებისა და პროფესორების მიერ მოწოდებულ თანამედროვე და რეალისტურ მაღალხარისხიან განათლებას, გამოცდილების გაზიარებასა და სწორი პერსპექტივების გამოხატვას. სწორედ მათი და უნივერსიტეტის ხელშეწყობით ვსწავლობ ჩინურ ენას, ვაპირებ საერთაშორისო გამოცდაზე გასვლას და წარმატების შემთხვევაში საშუალება მომეცემა მოვხვდე გაცვლით პროგრამაში ჩინეთის რომელიმე უნივერსოტეტში ენის შემსწავლელ კურსებზე.
გარდა ამისა მონაწილეობას ვიღებ სტუდენტურ კონფერენციებში, რაც კარგი პრაქტიკული გამოცდილებაა, ასევე ვიღებ არაფორმალურ განათლებას საინტერესო და წარმატებული ადამიანების საინტერესო საჯარო ლექციებით. აკადემიური გარემოს გარდა ვარ მხიარულთა და საზრიანთა გუნდისა და მოლაშქრეთა კლუბის წევრი. მინდა აღვნიშნო, რომ ევროპის უნივერსიტეტი არის მრავალფეროვნების ადგილი, სადაც ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი და ვატარებ საკმაოდ საინტერესო სტუდენტურ წლებს.
მადლობა ყველაფრისთვის ევროპის უნივერსიტეტს!

„განათლება ქმნის მომავალს!“

Sarabu Venkata Naga Meghana

I am Sarabu Venkata Naga Meghana, 4th year student of Medical faculty at European University, Vice-President for Indian students of Self-Government and Student Advisor at European University.
European University is an enormous platform in which each and every student has equal opportunities to demonstrate their abilities in every field. I have attended and participated in lots of student conferences and international conferences. I was one of the 3rd student conference's best presentation performers in June, 2017. I was selected for the Final part of Onco 2017 Conference, where I had an opportunity to give my presentation in front of students and lecturers of various universities in Tbilisi, in November 2017. We had a great opportunity to attend a Module session on – "Introduction to Molecular Medicine Module 1" by Samuel D. Bernal, who shared lot of his experiences about interesting cases who were suffering from various types of cancer, his successes and numerous newly developed technologies in Molecular medicine in July, 2018. I took part in a mock trial at Civil Court, Tbilisi, at the Faculty of Law as one of the witnesses and it was one of the wonderful experiences I've ever had in April, 2018. I was also trained for 2 workshops at the Faculty of Medicine, Planning & Implementation of "OSCE" - Objective Structured Clinical Examination and Teaching & assessment methods in Medical Education. I was awarded 3rd prize and granted 100 GEL in 4th Students Conference in June, 2018 . I am a scholarship student, I was granted 1000 GEL each for 3rd, 4th and 5th semesters during 2018. European University helped in exploring myself more, overcoming all my weakened areas, making me stronger and confident than ever before. I thank all the lecturers and the European University administration staff members for so many great opportunities and creating the best version of myself.

ბექა ლაგურაშვილი

მოგესალმებით, ჩემი სახელია ბექა. ვსწავლობ ევროპის უნივერსიტეტში სამართლის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საერთაშორისო სამართლის პროგრამაზე - III კურსზე. ვაანალიზებ და ვხვდები, რომ აქ გატარებული 3 კურსის განმავლობაში ბევრი რამის გაკეთება შევძელი რაზეც ვერც კი ვიოცნებებდი მანამდე. უპირველეს ყოვლისა, ევროპის უნივერსიტეტი დამეხმარა საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენაში და გავხდი უფრო თავდაჯერებული, მიზანდასახული. მონაწილეობა მივიღე უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ არაერთ საინტერესო პროექტში, მქონდა შესაძლებლობა საფუძვლიანად გავცნობოდი ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივი სისტემის ნიუანსებს ლექციების სპეც-კურსებზე, რომლებსაც უძღვებოდნენ უშუალოდ ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოწვეული, როგორც პრაქტიკოსი იურისტები, ასევე აკადემიური პერსონალი. მომეცა საშუალება მონაწილეობა მიმეღო არაერთ სტუდენტურ კონფერენციაში და კვლევაში. ჩემი სპეციალობის მიმართულებით.
ევროპის უნივერსიტეტი არის დაწესებულება, რომელიც მაქსიმალურად ხელს უწყობს ცოდნაზე ორიენტირებულ სტუდენტებს მათთვის სასურველი განათლების მიღებაში და რაც ყველაზე მთავარია, აქ მე შევიძინე ბევრი კარგი მეგობარი, ასევე გავიცანი ისეთი ადამიანები, რომლებმაც სწორი მიმართულება მომცეს ცხოვრებაში და დამეხმარნენ დამენახა, რომ "განათლება ქმნის მომავალს", რისთვისაც ყველა მათგანს მინდა ვუთხრა მადლობა კიდევ ერთხელ - აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ პერსონალს, ყველას, ყველას!



Ankita Dhull

I'm in 8th semester, pursuing my MBBS ,from European University. I came to Georgia in December 2015 and I must say it was a new experience for me as I was going to achieve my goal . EU gave me an opportunity to believe that I can become a good doctor by providing me all the facilities as the campus is so lively and the staff is very helpful .Being an active student I have always scored good and have been a part of following activities – OSCE, went to BAKU, AZERBAIJAN, for the English And Culture workshop, got the certificates from The British Council, performed during New Years in Concert Hall, took part in conferences , and now I'm participating in 6th International Conference, have been active in sports. I would say now I know how to maintain balance between academics and personal life. Though I'm not at all good in politics , so could not take part in university elections. EU has always supported me in and out throughout my journey so far here in Tbilisi. Being active is very important because it has taught me how to deal with the challenges and to be positive .

ევროპის
უნივერსიტეტი
განათლება ქმნის მომავალს
eu.edu.ge
+995 322000171
@europeanuniversity.eu
გრაფიკული
დიზაინერი
ოთარი რეხვიაშვილი
(+995) 591 00 15 32
ottorekhviashvili@gmail.com
ottoart.eu